ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 12 აპრილი, 2016 №86 (7012) ფასი: 50 თეთრი

## რუსეთი ცხინვალს აგვისტოში მიიერთებს?




გვ.3

12 აპრილიდან
კანდიდ ჩარკვიანი
სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# ივანიშვილს უსუფაშვილის გადაბირება სურს?



საარჩევნო სიაში მოსახვედრად ბრძოლა დაიწყო



გვ.2

## მანანა კობახიძე მიხეილ მაჭავარიანს: „არაფერსაც არ გიტეხავთ“



„იყო ხოლმე მცდელობა და ცდუნება, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს ეთქვა, ჩვენი საკითხი რატომ მოტეხე დღის წესრიგიდანო. რატომ ხვდება ჩვენ მიერ ინიცირებული საკითხები მუდმივად ბოლო?! ამაზე გთხოვთ, ქალბატონო მანანა, პასუხს“



გვ.3



გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „მოსახლეობა დასავლეთზე ორიენტაციას უჭერს მხარს“



გვ.4

## თორნიკე შარაშენიძე: „ვიზალიბერალიზაცია რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგო წამალია“

„ეკონომიკა იმიტომაა დაქცეული, რომ მას მიზანმიმართულად ანგრევდნენ“

## ნოდარ ნათაძე: „ფარული კადრების გავრცელების მიზანია ხალხის გამოტვინება“



გვ.7

„დასავლეთში დადებითად უყურებენ ალასანიას, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად მასაც არ აღიქვამენ“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

„დღეს სამართლიან არჩევნებზე ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს, დემოკრატიაზე – გივი თარგამაძე, ლელუაშვილი კი ლამის ადამიანის უფლებებზე გველაპარაკება“

## ნანა კაკაბაძე: „დღევანდელი ხელისუფლება ზნეობისგან დაცლილი აღმოჩნდა“



გვ.5



გვ.2

## ეკა გიგაური: „სამი წელია პროკურატურა აბსოლუტურად უმოქმედოა“



გვ.3

## გია ვოლსკი: „მოსკოვში, იმედია, „გონიერებას გამოიჩენენ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ივანიშვილს უსუფაშვილის გადაბირება სურს?

## საარჩევნო სიაში მოსახვედრად ბრძოლა დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი





საქართველოს დედაქალაქი შესაძლოა უპატრონოდ დარჩეს. გავრცელებული ინფორმაციით, მერიის და საკრებულოს მაღალჩინოსნები საპარლამენტო არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. ზოგიერთ მათგანს „ქართული ოცნების“ ბოსები სიაში ჩასვამენ, ზოგს კი მაჟორიტარულ ოლქებში მოუწევს გამარჯვებისთვის ბრძოლა.

მეოცნებეთა სიაში შესაძლოა დედაქალაქის მერი დავით ნარმანიაც ვიხილოთ. ამ უკანასკნელმა ეს ინფორმაცია რამდენიმე თვის წინ ფაქტიურად დაადასტურა, თუმცა მოგვიანებით უარყო.

„ახალი თაობა“ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით უკვე წერდა, რომ მან თანამდებობის დატოვებაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ ამის სანაცვლოდ სიის ათეულში ჩასმა მოითხოვა. სიის ათეულში ძალიან ბევრი ითხოვს ჩასმას, ნარმანიას, ეტყობა, ადგილი ვერ უპოვეს და ის ისევ გაჯიუტდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მერის ვადამდელი არჩევნები საპარლამენტოს პარალელურად ჩატარდება. თბილისელებს საკრებულოს წევრების არჩევაც მოუწევს.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირების ცნობით, ხელისუფლებას მერობისთვის რამდენიმე კანდიდატი ჰყავს შერჩეული. ამ პოსტზე ვიცე-პრემიერ კახა კალაძის კანდიდატურაც განიხილება, რომელსაც სასტიკად არ სურს ენერგეტიკის მინისტრის პოსტის დატოვება.

მერის გარდა, საარჩევნო სიაში შესაძლოა თბილისს ვიცე-მერი ირაკლი ლექვინაძეც ვიხილოთ.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ არაერთხელ განაცხადა, რომ მათ სიაში 20/30-ის ექსპერტებსაც ვიხილავთ. პარლამენტში შესვლის შანსები მიხეილ დონდუას და ლევან კალანდაძეს გაუჩნდათ.

ეკონომიკური ექსპერტები ამ ეტაპზე გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. მედიასთან საუბარში ამბობენ, რომ მათთან ამ თემაზე არავის უსაუბრია.

— მე არ მაქვს ინფორმაცია, „ქართული ოცნება“ განიხილავს თუ არა ჩემს კანდიდატურას, შესაძლებელია განიხილავს კიდეც. ამ თემაზე ჯერ ჩემთან არავის უსაუბრია, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კალანდაძემ.

იგივეს ამბობს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის მთავარი მაკრიტიკებელი მიხეილ დონდუაც:

— ამ თემაზე ჩემთან არავის უსაუბრია.

საარჩევნო სიაში მოხვედრის შანსები ჰქონდა ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას. ამის შესახებ შარშან ზაფხულში მიდიოდა საუბარი, თუმცა მაშინ „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერმა ყველაფერი გააკეთა, რომ ივანიშვილს მასზე წარმოდგენა შესცვლოდა და ის სიაში არ მოხვედრილიყო. მისია სანახევროდ იქნა შესრულებული. გამზარდია 20/30-დან გაუშვეს, თუმცა ივანიშვილმა ის, შესაძლოა, მაინც ჩასვას სიაში.

20/30-დან სიაში მოხვედრას ვასილ მაღლაფერიძესაც უწინასწარმეტყველებენ. ეს ინფორმაცია რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა. წყაროები და ნაკადულები ამტკიცებდნენ, რომ ის სიის ათეულში იქნებოდა. მაშინ მაღლაფერიძემ განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ პოლიტიკაში წასვლას არ აპირებდა.

საარჩევნო სიაში ჩასმას უკვე შეგუებული არიან მინისტრები. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ცნობა, რომ სიაში დავით სერგეენკოს, თამარ სანიკიძეს და ნოდარ ჯავახიშვილს ვიხილავთ.

მინისტრებიდან სიაში მოხვედრას ყველაზე გაგებით ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ეკიდება. ჯერ ისევ მინისტრის პოსტზე მყოფი ამბობს, რომ წინასაარჩევნო ეტაპი წინ არის და გამორიცხული არაფერია.

სერგეენკოს თქმით, ის საარჩევნო კონსულტაციებში არ მონაწილეობს და საარჩევნო სიებთან დაკავშირებით არაფერი იცის.

— წინასაარჩევნო ეტაპი წინ არის და გამორიცხული არაფერია. ასე მოხდა, რომ 2012 წლის ოქტომბერში მე ავიღე ვალდებულება ჩემი ქვეყნის წინაშე, რომ ვყოფილიყავი სახელმწიფოს სამსახურში. ვცდილობ, შევასრულო ის ამოცანა, რაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, — განაცხადა სერგეენკომ.

განსხვავებულად უყურებს საარჩევნო სიას ნოდარ ჯავახიშვილი. პარლამენტში მოხვედრა მისი ოცნება არ არის.

— მე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ვარ, დამისვით ნებისმიერი კითხვა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში. რატომ გგონიათ, რომ ჩვენ ახლა არჩევნებზე ვმუშაობთ?! თქვენ გგონიათ, ეს ჩემი ოცნება ან მიზანია?! შეიძლება ჰკითხოთ ახალგაზრდა ადამიანს, მოხვდება თუ არა უნივერსიტეტში იმიტომ, რომ ეს მისი ოცნებაა და რატომ გგონიათ, რომ მე საარჩევნო სიაზე ვოცნებობ?! თქვენ მეკითხებით მომხსნიან თუ არა თანამდებობიდან?! არა, ბატონო, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნოდარ ჯავახიშვილმა.

საარჩევნო სიაში რამდენიმე სპორტსმენსაც ვიხილავთ. ბოლო წლების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყველა მოწვევის პარლამენტში ერთი ოლიმპიური ჩემპიონი მაინც უნდა იყოს. მეოცნებეები ალბათ წლევანდელ ოლიმპიადას დაელოდებიან და იქედან შეარჩევენ რომელიმე ახალგაზრდა ათლეტს.

უკვე დადასტურებულია, რომ ჩუღურეთის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს რიმა ბერიძე, რომლის განცხადებები არაერთხელ გამხდარა ხმაურიანი სკანდალების მიზეზი. ყველაზე გამორჩეული მათგან 1.18 ლართან გაკეთებული განცხადება იყო. საკრებულოს დეპუტატმა განაცხადა, რომ უფასო სასადილოებში ერთი ადამიანის გამოსაკვებად დღეში 1.18 ლარია საჭირო. მოგვიანებით დეპუტატმა განმარტა, რომ მისი ნათქვამი კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი.

მაჟორიტარებად იქნებიან გამწესებული ჯაბა სამუშია და ზაზა გაბუნიაც. ისინი პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლამდე გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატებში იმყოფებოდნენ.

მაჟორიტარობის კანდიდატების შერჩევის პროცედურა დაწყებულია რეგიონებშიც. ტყიბულის მაჟორიტარობისთვის განათლების მინისტრის მრჩეველი ოთო აბესაძე იბრძოლებს. მას რომ ამისთვის ამზადებდნენ, ამის შესახებ ერს გასულ წელს ტყიბულის მოქმედმა მაჟორიტარმა ელისო ჩაფიძემ აცნობა.

დუშეთს, თიანეთს და ყაზბეგს წელს ერთი მაჟორიტარის არჩევა მოუწევს. ამ ფრონტზე, სავარაუდოდ, ირაკლი ტრიპოლსკის გაუშვებენ. არც ისაა გამორიცხული, რომ სამი რაიონის მოსახლეობის გულის მოსაგებად თამაზ მეჭიაურის კანდიდატურაც იქნას წამოყენებული.

მასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო ინფორმაციაც ვრცელდება. მავანი ამტკიცებს, რომ ის შავ სიაშია შეტანილი და პარლამენტში ვეღარ მოხვდება, თუმცა ამ ინფორმაციის „ქართულ ოცნებაში“ ნაკლებად სჯერათ, რადგან მეჭიაური ივანიშვილთან დაახლოებულ პირად ითვლება.

ამ თვეების განმავლობაში მეჭიაური თავისი კურსელის მოსაზრებებს ახმიანებდა. პირველმა მან თქვა, რომ კოალიციაში შემავალმა ყველა პარტიამ ცალკე უნდა იყაროს კენჭი. საქმეში ჩახედულმა ხალხმა მაშინვე თქვა, რომ ეს ივანიშვილის პოზიცია იყო.

იგივე ხალხი ახლა იმას ამბობს, რომ მეჭიაური ისევ იქნება სიაში. ისევე, როგორც ივანიშვილის კიდევ ერთი მეგობარი თემურ ჭკუასელი. სიაში კარგ ადგილზე მოხვედრის შანსები ექნებათ გია ვოლსკის და ზვიად კვაჭანტირაძესაც.

მართალია, ოფიციალურად არ აღიარებენ, მაგრამ კულუარულ საუბრებში ადასტურებენ, რომ მეოცნებეებმა ივანიშვილისგან გარანტიები მიმდინარე წლის 14 იანვარს გამართულ ქეიფზე მიიღეს.

ივანიშვილი თავისი გუნდის წევრებს მაშინ დაჰპირდა, რომ ისე არავის დატოვებს.

ზოგიერთი მათგანი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლებს. ყაზბეგის მაჟორიტარ დეპუტატ მირიან წიკლაურს ჯანდაცვის სამინისტროში დაასაქმებენ. იუსტიციის სამინისტროში შეიძლება ვიხილოთ ზაქარია ქუცნაშვილი.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, მოლაპარაკებები მიდის დავით უსუფაშვილთანაც. ივანიშვილს ძალიან უნდა თურმე მისი გადაბირება. ყოფილმა პრემიერმა არაერთხელ განაცხადა, რომ უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის იდეალური კანდიდატურაა. ამ მოსაზრებას სხვა დეპუტატებიც ეთანხმებიან.

უსუფაშვილი, სავარაუდოდ, არ უარყოფს თავის პარტიას. შესაბამისად, მეოცნებეებს სასპიკეროდ სხვა კანდიდატურის მოძებნა მოუწევთ. პრესაში არაერთხელ გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ ამ პოსტზე ივანიშვილი თავის ყოფილ მრჩეველ თამარ ჩუგოშვილს განიხილავს. ჩუგოშვილს სიის ათეულში მოხვედრა გარანტირებული აქვს.

მართალია, „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ სიაში მარტო სუფთა სისხლის მეოცნებეები არ იქნებიან. პოლიტიკურ არენაზე ხმა დადის, რომ „ოცნების“ სიაში ზურაბ ტყემალაძის ვაჟი — გიორგიც მოხვდება. რომელიც ახლა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა.

* * *

„ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტი ამ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობა იქნება. ორივე პარტიის წარმომადგენლები ასე თვლიან, თორემ ოქტომბერში შესაძლოა სულ სხვა სურათი მივიღოთ.

არჩევნებისთვის ნაციონალებიც საგულდაგულოდ ემზადებიან და ხალხის შერჩევაზეც სერიოზულად მუშაობენ.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მიშა მაჭავარიანმა რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მათ სიაში სულ ახალი სახეები იქნებიან. დეპუტატმა მაშინ კონკრეტული პიროვნებების დასახელება არ ისურვა, თუმცა არ გამორიცხა, რომ მათ სიაში გიორგი ქადაგიძეს და ნიკა მელიას ვიხილავდით.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ნაციონალებმა შესაძლოა სიაში ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში შეიყვანონ. მის გარდა, სააკაშვილის პარტიაში, სავარაუდოდ, ზაზა ბიბილაშვილს, ელენე ხოშტარიას, ეკა ტყეშელაშვილს და ოთო კახიძესაც ვიხილავთ.



## ეკა გიგაური: „სამი წელია პროკურატურა აბსოლუტურად უმოქმედოა“

— სამი კადრის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ შვიდი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, მაშინ როცა ქვეყანაში არსებობს 26.000 კადრი და ამასთან დაკავშირებით არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, — ამის შესახებ კამპანია „ეს შენ გეხებას“ წარმომადგენელმა ეკა გიგაურმა პარლამენტში, „ეროვნული ფორუმის“ წევრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც გიგაურმა აღნიშნა, „ეს შენ გეხებაში“ შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უკვე სამი წელია ითხოვენ, პროკურატურამ გამოიძიოს და დაადგინოს, ვინ იდგა ამ 26.000 კადრის უკან.

ეკა გიგაური:

— სამი წელია პროკურატურა აბსოლუტურად უმოქმედოა და არაეფექტურია ამ მიმართულებით და ზუსტად ამიტომ, რაღაც პერიოდში, ჩვენ ვთქვით, რომ დღევანდელი პროკურორი ამ ამოცანას ვერ შეასრულებს.

სამი კადრის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ შვიდი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, მაშინ როცა ქვეყანაში არსებობს 26.000 კადრი და ამასთან დაკავშირებით არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

**ინტერპრესნიუსი**

## სააკაშვილი შესაძლოა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პოსტზე დაინიშნოს



უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტი, შესაძლოა, ოდესის გუბერნატორმა, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიკავოს. ამის შესახებ „უკრაინსკაია პრავდა“ წერს.

გამოცემის ცნობით, პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკის გადადგომის შემდეგ მინისტრთა კაბინეტში შესაძლოა, ცვლილებები განხორციელდეს, თუმცა, ახალ მინისტრთა კაბინეტში, რომელსაც როგორც დაგეგმილია, უმაღლესი რადას სპიკერი ვლადიმირ გროისმანი უხელმძღვანელებს, დიდი ალბათობით შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი, იუსტიციის მინისტრი პაველ პეტრენკო და კულტურის მინისტრი ვიაჩესლავ კირილენკო პოსტებს შეინარჩუნებენ.

როგორც გამოცემა წერს, სავარაუდოდ, შეიცვლება ფინანსთა მინისტრი ივან მიკლოში, დეპუტატი ივანა კლიმპუშ-ცინცაძე კი, ევროინტეგრაციის საკითხებში ვიცე-პრემიერის პოსტზე გადაინაცვლებს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მანანა კობახიძე მიხეილ მაჭავარიანს: „არაფერსაც არ გიტეხავთ“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ ძალადობაში ადანაშაულებს. ყოფილი ხელისუფლება მოქმედის მიერ მათ მიერ მომზადებული რეზოლუციის ჩაჩრჩების განხილვით არის გულმოკლული.

ნაციონალები უკვე რამდენიმე თვეა მოუთმენლად ელიან იმ დღის გათენებას, როცა მათ მიერ მომზადებული რეზოლუციის ტექსტზე დაიწყება მსჯელობა. საუბარია პროექტზე, რომელიც ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროპული სტრუქტურებისადმი მიმართვას ითვალისწინებს.

როგორც ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი იუწყება, აღნიშნული პროექტი პარლამენტის დღის წესრიგში ჯერ კიდევ 2015 წლის დეკემბერში შევიდა, თუმცა სესიაზე დღემდე არ განუხილავთ.

– ეს პროექტი დღის წესრიგში ყოველთვის ბოლო საკითხად არის განსაზღვრული და პარლამენტი მის განხილვას ვერ ასწრებს, – განმარტა მაჭავარიანმა.

ეს ამბავი ნაციონალებმა კარგა ხანს ითმინეს, 11 აპრილს კი მათი მოთმინების ფიალა გადაივსო და ბიუროს სხდომაზე მაჭავარიანი-ბარამიძის დუეტმა ერთი ამბავი ატეხა.

ყველაფერი გია ბარამიძემ დაიწყო. მან პარტიის სახელით მათ მიერ მომზადებული პროექტის კვლავ ბოლოს საკითხად ჩასმა გააპროტესტა.

მისი დაშოშმინება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ სცადა. ის კოლეგებს დაჰპირდა, რომ მათი საკითხების რიგითობა 13 აპრილის ბიუროს სხდომაზე გაირკვეოდა.

იმის მაგივრად, რომ დამშვიდებულიყვნენ, ნაციონალები კიდევ უფრო გაცხარდნენ. ყველაზე მეტად მიხეილ მაჭავარიანი გაცეცხლდა, რომელმაც ისეთი ტექსტი დაარტყა, აშკარაა, ხელისუფლებაში ყოფნის დროს თავადაც სცოდავდა დღის წესრიგის შედგენის დროს.

– მე ვიცე-სპიკერი ვიყავი 8 წელი და ძალიან კარგად ვიცი, როგორ დგება დღის წესრიგი – როგორ ჩააჩრჩებენ რაღაც საკითხებს და როგორ მოაჩრჩებენ რაღაც საკითხებს. თქვენ აჩრჩებთ ასე ზუსტად, მე არაფერს ვაჩრჩებდი. იყო ხოლმე მცდელობა და ცდუნება, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს ეთქვა, ჩვენი საკითხი რატომ მოტეხე დღის წესრიგიდანო. რატომ ხვდება ჩვენ მიერ ინიცირებული საკითხები მუდმივად ბოლო?! ამაზე გთხოვთ, ქალბატონო მანანა, პასუხს, – მიმართა მრისხანე სახით მაჭავარიანმა კობახიძეს.





კობახიძე მისმა შენიშვნამ ძალიან გააბრაზა. მან კოლეგას ტერმინები დაუწუნა.

– ნამდვილად ვერ მივიღებ ჩემს თავზე, რომ რაღაცას ვაჩრჩებ ან რაღაც საკითხებს ვტეხავ. თქვენგან მაინც არ ველი მე ასეთი ტიპის ტერმინოლოგიას პარლამენტის ბიუროზე და ასეთი ტიპის მსჯელობას. გასაგებია, რომ დღის წესრიგში შეიძლება იყოს დანომრილი ერთგვარად საკითხები, მაგრამ ჩვენ განგვიხილავს არაერთხელ საკითხი უფრო წინმსწრებად, – აღნიშნა მანანა კობახიძემ.

* * *

11 აპრილის ბიუროს სხდომაზე კიდევ ერთი საკითხის გადაწყვეტა იგეგმებოდა, მაგრამ ისიც ჰაერში დარჩა გამოკიდებული.

2 კვირის წინ პარლამენტში სუსის უფროსი ვახტანგ გომელაური უნდა გამოსულიყო მოხსენებით. ქვორუმის არარსებობის გამო ის სხდომა ჩაიშალა.

გავრცელებული ინფორმაციით, სხდომაზე შეგნებულად არ მივიდნენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები, რადგან არ უნდოდათ, რომ ნაციონალებს სუსის უფროსისთვის უხერხული კითხვები დაესვათ.

ნაციონალებს, ეტყობა, მყარად აქვთ გადაწყვეტილი, გომელაურის ანგარიში მოისმინონ. ამიტომაც 11 აპრილს მათ კიდევ ერთხელ დააყენეს ეს საკითხი. უმრავლესობამ ამასთან დაკავშირებით არაფერი იცოდა.

მანანა კობახიძე კოლეგებს დაჰპირდა, რომ ამ ამბავს მოიკითხავს და 13 აპრილისთვის რაღაცას გაარკვევს.

# რუსეთი ცხინვალს აგვისტოში მიიერთებს?

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალის მეთაურ ლეონიდ თიბილოვს აშკარად ზებუნებრივი ნიჭი აღმოაჩნდა, რისი წყალობით მან რუსეთის პრეზიდენტს აზრი შეაცვლევინა.

ოსური მედიის ცნობით, თიბილოვმა პუტინი რეფერენდუმის ჩატარებაზე დაიყოლია. რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში თიბილოვმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა მიმდინარე წლის აგვისტომდე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესასვლელად რეფერენდუმს ჩაატარებს.

– ამ ეტაპზე მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არ გვინდა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი რუსეთი სერიოზული პოლიტიკური რისკების წინაშე დავაყენოთ. ამიტომაც მივედით დასკვნამდე, რომ საჭიროა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მე-10 მუხლში, რომელიც პრეზიდენტს მისცემს უფლებას, პარლამენტის თანხმობით რუსეთს მიმართოს თხოვნით, განიხილოს მის შემადგენლობაში შესვლა.

ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები ოცნებობდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას, 1992 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 99%-მა უკვე განაცხადა თანხმობა ამასთან დაკავშირებით. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ის რეალიები, რაც არსებობს, – განაცხადა თიბილოვმა.



რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე პირველი განცხადება ედუარდ კოკოითიმ ჯერ კიდევ 2008 წელს გააკეთა. ეს რუსეთის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის აღიარებიდან მოკლე ხანში მოხდა.

კრემლი იმ პერიოდში ამტკიცებდა, რომ მის ინტერესში ცხინვალის და სოხუმის მიერთება არ შედიოდა. ამიტომაც კოკოითის ნაბოდვარი უკან წაალებინეს.

რამდენიმე წლის მანძილზე ცხინვალში ამ თემაზე კრინტი არ დაუძრავთ. საკითხი 2014 წელს გააქტიურდა. საპარლამენტო არჩევნებისას პარტიამ „ერთიანი ოსეთი“ საარჩევნო პროგრამაში ჩაწერა, რომ მისი მიზანი ცხინვალის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა იყო.

ამაზე რუსეთის ხელისუფლებას უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. კრემლის მოთხოვნით, პარტიამ ეს საკითხი საარჩევნო პროგრამიდან გააქრო.

სადღაც ერთი წლის თავზე კი ეს საკითხი ლეონიდ თიბილოვმა ისევ გააააქტიურა. რეაქცია რუსეთიდან ისევ უარყოფითი იყო. ცხინვალის მეთაურს ადგილობრივი პოლიტიკოსებიც აუმხედრდნენ.

მათი მტკიცებით, პრეზიდენტმა ეს თემა მოახლოებული არჩევნების ხათრით გააააქტიურა. 2017 წლის აპრილში აქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და თიბილოვს ამის ხარჯზე სურს რეიტინგის გაზრდა.

ბევრი წივილ-კივილის შემდეგ თიბილოვმა თავისი მაინც გაიტანა და რეფერენდუმი, სავარაუდოდ, აგვისტოში ჩატარდება. თიბილოვი დარწმუნებულია, რომ ხალხი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას დაუჭერს მხარს.

სარეფერენდუმოდ ატეხილი კაცის ბოლო განცხადებაზე ოფიციალურ მოსკოვს ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. მისი მდუმარება თბილისს იმედს აძლევს, რომ კრემლი გონიერებას გამოიჩენს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის თქმით, ცხინვალი არის ოკუპირებული ტერიტორია და ყველა პროცესი, მათ შორის ე.წ. რეფერენდუმი, არის არალეგიტიმური.

როგორც ციხელაშვილმა აღნიშნა, ეს არ არის არც პირველი განცხადება და არც პირველი რეფერენდუმი, რომელიც ტარდება ამავე კითხვით.

– ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ვრცელდება. ძალიან ხშირად თვითონ თიბილოვი აღნიშნავს, რომ თითქოს ოსი ხალხის პირველი ამოცანა – დამოუკიდებლობა, არის მიღწეული, ხოლო მეორე ამოცანა და ოცნება არის რუსეთთან შეერთება. ეს თავისთავად წინააღმდეგობრივია, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ეს პროცესი მთლიანად გამოიყენება ერთი დანიშნულებით – ეს არის საქართველოს პოლიტიკური შანტაჟის მცდელობა, – განაცხადა ციხელაშვილმა.

მისი თქმით, პოლიტიკურად ეს განწირულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. მათი პოზიცია არის ცალსახა – ეს არის არაღიარების პოლიტიკა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის მხარდაჭერა.

რაც შეეხება ქართული მხარის რეაქციას, როგორც ციხელაშვილმა აღნიშნა, ამ საკითხებს მუდმივად განიხილავენ პარტნიორებთან და მათ აქვთ მიმდინარე მოვლენების და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაცია.

# გია ვოლსკი: „მოსკოვში, იმედია, „გონიერებას გამოიჩენენ“

მოსკოვში „გონიერებას გამოიჩენენ“ თუკი რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაგეგმილ რეფერენდუმს დადებითად შეხედავს, ამას მისთვის პოლიტიკური შედეგები ექნება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ განუცხადა, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ მოსკოვში „გონიერებას გამოიჩენენ“.



**გია ვოლსკი:**

– ყველაზე ადვილი გზაა იმის თქმა, რომ რასაც ლეონიდ თიბილოვი ამბობს, საერთაშორისო ნორმებს არღვევს. საერთაშორისო ნორმებს არღვევს ყველაფერი, რასაც რუსეთის ფედერაცია ჩვენს ტერიტორიაზე სჩადის – უპირველეს ყოვლისა, ოკუპაციის თვალსაზრისით. არ მინდა მეორე პლანზე გადავწიო ის, რისი მომსწრეც გავხდით – მემკვიდრეობად საშინელი მდგომარეობა მივიღეთ, როდესაც ტერიტორიები ოკუპირებულია და შიგნით მიდის პროცესები, რომელიც არად აგდებს არც ადამიანის უფლებებს და არც საერთაშორისო ნორმებს.

თიბილოვი აკეთებს რაღაც განცხადებას, რომელსაც ფაქტობრივად არავითარი პატრონი არ ჰყავს.

ერთადერთი, რაც ჩვენ გვაქვს და ვფიქრობ, რომ ეს არ არის ცოტა, არის ის, რომ ამ ყველაფერს საერთაშორისო შეფასება მიეცეს. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, რუსეთს საერთაშორისო ნორმების და ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, ისედაც უმძიმესი ვითარება აქვს. ძალიან ბევრი მიმართულებით ახასიათებს სერიოზული პრობლემები და წესით და რიგით, არ უნდა დაიმატოს პრობლემა, თუკი ცხინვალის საზოგადოება, რომელიც დაახლოებით 15 ათასია, ასეთ რამეს გადაწყვეტს.

ჩვენს სამეგობროში, სანათესაოში, საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცილებით მეტი ოსი ცხოვრობს, ვიდრე ცხინვალის რეგიონში. ვლადიკავკაზშიც იმ ოსების განწყობები, რომლებიც ცხინვალის რეგიონიდან არიან გადასულები, აბსოლუტურად განსხვავებულია. ასე რომ, რეფერენდუმს არცერთი თვალსაზრისით ლეგიტიმაცია არ ექნება, ხოლო პოლიტიკური შედეგები იქნება რუსეთისთვის, თუკი დადებითად შეხედავს პასუხს.

ე.წ სამხრეთ ოსეთი რუსეთთან შეერთების საკითხთან დაკავშირებით აგვისტომდე რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს, – ამის შესახებ ე.წ პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა რუსულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

**ინტერპრესნიუსი**

# ეროვნული ფორუმი საპარლამენტო თანამდებობებს ტოვებს





ეროვნული ფორუმის წევრები საპარლამენტო პოსტებს ტოვებენ. შესაბამისი მიმართვა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უკვე შევიდა.

გუბაზ სანიკიძე ვიცე-სპიკერის პოსტს, ხოლო ანი მიროტაძე, შალვა კიკნაველიძე და თემურ მაისურაძე – კომიტეტების მოადგილეების თანამდებობებს ტოვებენ.

თანამდებობების დატოვების გარდა, ფრაქცია სახელსაც იცვლის და მას „ეროვნული ფორუმი“ ერქმევა.

**პირველი რადიო**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რამაზ საყვარელიძე: „მოსახლეობა დასავლეთზე ორიენტაციას უჭერს მხარს“

ნათია ხურცილავა



ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ენდიაის მიერ თებერვალ-მარტში ჩატარებული კვლევის შედეგებზე საუბრობს.

***– ენდიაის კვლევებით გამოჩნდა, რომ ევრაზიის კავშირში გაწევრიანების მომხრეების კლებაა და გაზრდილია ევროკავშირში გაწევრიანების მსურველთა მაჩვენებელი. გამოკითხულთა 77% მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას. რით ხსნით ამ მოცემულობას?***

– ის 20%, რომელიც ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა, გადაჭარბებული მაჩვენებელია. დიდი ეჭვი მეპარება, რომ ბევრმა საერთოდ იცოდეს, რა არის ევრაზიული კავშირი და ისე ბრმად გასცა დადებითი პასუხი, რადგან ევრაზიული კავშირის თემა რუსეთშიც დაივიწყეს.

კვლევებით მიღებული შედეგები აიხსნება სახელმწიფო პოლიტიკის პროდუქტიულობით, რაც გამოვლინდა ვიზალიბერალიზაციაში და ეს ამ კვლევებში ხაზგასმულია. იქ, სადაც დასავლეთთან ურთიერთობა შედეგიანია, პროპაგანდისტული მანქანა აღარ არის საჭირო, მოსახლეობა დასავლეთზე ორიენტაციას უჭერს მხარს. ეს დასავლეთისთვის შეიძლება დადებითი სიგნალიც იყოს.

***– ევროკავშირში გაწევრიანების მსურველების პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა ვიზალიბერალიზაციასთან არის ბმაში?***

– დიახ და ეს არც არის გასაკვირი. დასავლეთმა საქართველოს რაღაც ნაბიჯები დაუფასა და ადეკვატური რეაგირებაც მოახდინა. ეს საქართველოს მოქალაქეებზე დადებითად აისახა.

***– ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა კლება რამდენად შეიძლება კავშირში იყოს რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალების მხარდამჭერთა კლებასთან?***

– ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება რუსული გავლენის შეფასება საქართველოში. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ადამიანებმა, ვინც ამ კითხვებს პასუხები გასცა, გამოიარეს 90-იანი წლები, 2008 წლის აგვისტო. ეს ყველაფერი უკვალოდ არ ქრება. ომი ყოველთვის ტოვებს თავის კვალს. ამიტომ ასე ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ვიღაც შეიძლება რუსული პროპაგანდის, რუსული გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს.

აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თავად დასავლეთი, ევროკავშირი და ნატო – რამდენად იქნებიან ისინი ადეკვატურები და დაუტოვებენ თუ არა საქართველოს მოქალაქეებს ნიჰილისტურ განწყობებს, რომ დასავლეთთან რეალური დაახლოება არის აუხდენელი ოცნება.

***– თქვენ ამბობთ, რომ არა რუსული გავლენისა და ორბიტის ქვეშ დაბრუნებაზე, არამედ ყოფით დონეზე ურთიერთობების გაუმჯობესებაზეა საუბარი?***

– სწორედ ასეა. ადამიანები დაიღალნენ მუდმივი კონფრონტაციით, მუდმივად ომის მოლოდინში. ადამიანი ფიქრობს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე და არა – მის გავლენაში ყოფნაზე. დღევანდელი ხელისუფლებაც, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამ პოლიტიკას ატარებს. კითხვაზე, არის თუ არა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება საჭირო, პასუხი არის დიახ. ხოლო კითხვაზე, არის თუ არა რუსეთი საფრთხის შემცველი, პასუხი არის ასევე დიახ.

***– ამ კვლევაში ტერიტორიული მთლიანობის საკითხი უკანა პლანზეა გადაწეული და მთავარ პრობლემად მიჩნეულია უმუშევრობა, სოციალური მდგომარეობა, ინფლაცია და ა.შ. პოლიტიკოსების ნაწილმა ეს საშიშ სიგნალად აღიქვა. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– სულაც არა, რადგან ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა, რომ იყოს ჯერ დაპურებული და შემდეგ იფიქროს იმაზე, თუ როგორ აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მე არ ვთვლი, რომ ეს საგანგაშოა, ეს არის სრულიად ბუნებრივი.

ჯერ სწორედ ეკონომიკური პრობლემები უნდა გადაიჭრას, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდეს, რომ ჩვენ გადავჭრათ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.

***– გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ ენდიაის კვლევებს უნდობლობის შლეიფი ახლავს. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს თუ არა სოციოლოგიური კვლევის შედეგები თავის საქმიანობაში თუ უგულებელყოს და თქვას, რომ არ ენდობა?***

– მე ვარ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ უნდობლობის შლეიფს ვაღვივებდი, რადგან კონკრეტული კვლევის ბევრი დეტალი ხშირად ეჭვის საფუძველს იძლევა. თუმცა, სოციოლოგიური კვლევები, როგორც ასეთი, პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელია. სამწუხარო ის არის, რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ გამართული, სანდო, ჩვენი შიდა სოციოლოგიური კვლევების კომპანიის შექმნა. მეტი პროფესიონალიზმია საჭირო.

# თორნიკე შარაშენიძე: „ვიზალიბერალიზაცია რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგო წამალია“

ბექა გოგინაშვილი

საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო, საქართველო კი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, პირველ ნაბიჯებს დგამდა.

1992 წელს ევროკავშირი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა, ხოლო 1995 წელს ევროკომისიამ თბილისში წარმომადგენლობა გახსნა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის, თუმცა 2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, საქართველო ევროკავშირს მიუახლოვდა.

პოლიტიკური ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდა და შემუშავდა თანამშრომლობის დღის წესრიგი, რომლის მიზანია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის პოზიცია ამ საკითხის მიმართ. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 77% მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის აგვისტოში მხოლოდ 61% იყო ამის მომხრე. ეს იმას ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში უფრო მეტი ადამიანი ხვდება ევროპასთან დაახლოების მნიშვნელობას და აუცილებლობას, თუმცა რაღაც ნაწილი ისევ ევროპის წინააღმდეგია.

პოლიტოლოგი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ საუბარში ევროკავშირში შესვლის მსურველთა მნიშვნელოვან ზრდას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს.

– ესენია ევროკავშირში ექსპორტის მატება, რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება და პრორუსული ძალების სისუსტე და გაუნათლებლობა, – აღნიშნავს პოლიტოლოგი.

***– მოსახლეობის რაღაც ნაწილი ისევ წინააღმდეგია ევროკავშირში გაერთიანების. რა მიზეზები აქვთ მათ, რომ რუსეთს მიემხრონ და ევროპაზე უარი თქვან?***



– ისევ ბნელი პროპაგანდის გავლენა, მაგრამ მათი რიცხვი მოიკლებს, მით უმეტეს, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდეგ.

***– ანუ ვიზალიბერალიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ევროპისკენ მიმავალი გზისკენ სვლას?***

– კი, ყველაზე უკეთესი წამალი იქნება რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ.

***– რამდენად სანდოა ენდიაის კვლევები და რამდენად რეალურად ასახავენ ისინი მოსახლეობის უმრავლესობის აზრს?***

– მე ვენდობი. „ქართული ოცნება“ ალბათ არ ენდობა არც ენდიაის, არც აირაის. ჰკითხეთ, ვის ენდობიან, იმედია, არა – ედინაია როსიას.

***– რამდენად რეალურია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანება და რა არის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები?***

– განათლების დაბალი დონეა ალბათ მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი. სწორედ ამას მოაქვს სიღარიბე და ცხოვრების დაბალი დონე, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებთან ვერ მოდის.

განათლების დეფიციტითა და სიღარიბით ვხსნი დემოკრატიის დაბალ დონესაც. ამის გამო ღარიბი ხალხის მოტყუება და მოსყიდვა გაცილებით იოლია, რის შემდეგაც ხელისუფლების სათავეში მოდიან არცთუ პროგრესული ძალები, რომლებიც ხელისუფლებას არ თმობენ და დემოკრატიულ პროცესს ამუხრუჭებენ.

ამის მაგალითს სწორედ დღეს ვხედავთ, რადგან ხელისუფლება არაფრით თმობს არადემოკრატიულ საარჩევნო კოდექსს.

# კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ადვოკატმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა





ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებული კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, ირაკლი ყიფშიძის ადვოკატებმა, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ყიფშიძის ადვოკატმა, მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა, საქალაქო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ შეუფარდა მისი დაცვის ქვეშ მყოფს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა.

– ერთი მტკიცებულებაც არ არსებობს. ბრალის კვალიფიკაციაც არ არის სწორად განსაზღვრული. გარდა ამისა, უსაფუძვლოა ის საფრთხეებიც, რომლითაც საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა. ამიტომ მივმართეთ სააპელაციო სასამართლოს, – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

ვასილ ლელუაშვილის ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის თქმით კი, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში დღის ბოლომდე გაასაჩივრებს. გასაჩივრებას აპირებენ სხვა ბრალდებულების ადვოკატებიც.

სასამართლომ ე.წ. უკანონო მოსმენის საქმეზე დაკავებულ კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსნებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 9 აპრილს შეუფარდა.

პატიმრობა შეეფარდათ: შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილეს ვასილ ლელუაშვილს; ამავე დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს რევაზ შიუკაშვილს; ამავე დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს ყოფილ უფროსს რომან ზაალიშვილს; შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს ყოფილ უფროსს ირაკლი ყიფშიძეს; შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების ყოფილ უფროსს ზურაბ პავლიაშვილს და შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის ყოფილ მოადგილეს გიგლა შიოშვილს.

**ინტერპრესნიუსი**

# მოსკოვი შვეიცარიას თბილისში რუსეთის საკონსულოს თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას სთხოვს



საქართველოს მოქალაქეების მხრიდან რუსეთის ვიზებზე მოთხოვნის გაზრდის გამო, მოსკოვი შვეიცარიას სთხოვს გაზარდოს რუსეთის საკონსულოს თანამშრომელთა რაოდენობა თბილისში.

ამის შესახებ რუსული მედიის ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა.

– მკვეთრად გაიზარდა ვიზებზე განაცხადის რაოდენობა, ამიტომაც ჩვენ გვსურს შვეიცარიელი კოლეგებისგან მხარდაჭერა, რათა თბილისში მდებარე ჩვენი საკონსულოს შტატი რამდენიმე თანამდებობით გავზარდოთ, – განაცხადა სერგეი ლავროვმა შვეიცარიის საგარეო მინისტრ დიდიე ბურკჰალტერთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოსკოვი სხვადასხვა კატეგორიის ვიზებს გასცემს ტურისტულის გარდა, მათ შორის ნათესავების მოწვევის გარეშე.

**ინტერპრესნიუსი**

# ბათუმის მცირე პორტში სანავიგაციო ნიშნების მონიტორინგი ხორციელდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ აჭარის მონაკვეთის სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის ჯგუფმა სანაპირო დაცვის ბათუმის მცირე პორტში მდებარე გემების სახაზე სანავიგაციო ნიშანზე (სექტორული მაშუქი) სამღებრო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.

**ნიუსპრესი**

# ნანა კაკაბაძე: „დღევანდელი ხელისუფლება ზნეობისგან დაცლილი აღმოჩნდა“

ნონა ცაბაძე

## „დღეს სამართლიან არჩევნებზე ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს, დემოკრატიაზე – გივი თარგამაძე, ლელუაშვილი კი ლამის ადამიანის უფლებებზე გველაპარაკება“

რა შეცდომები დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე? რატომ დაიწყო ახალი დაპატიმრებების სერია? ითანამშრომლებს თუ არა ლელუაშვილი გამოძიებასთან? რატომ ცდილობენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ხელი ვაჟა ლელუაშვილს შეახოცონ?

უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ დღეს არა მარტო ლელუაშვილის დაკავებაა დაგვიანებული, საერთოდ დაგვიანებულია ყველა ის პროცესი, რომელიც სამართლიანობის აღდგენასთან არის დაკავშირებული.

***– რატომ არის დაგვიანებული?***

– ისინი ამ დაპირებით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ეს მთავარი დაპირება არ შეასრულეს. დღეს მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ არჩევნების წინ თუ არ დაიწყეს ამ დანაპირების შესრულების ილუზიის შექმნა მაინც, ძალიან გაუჭირდებათ გამარჯვება და უმრავლესობაში მოსვლა.

***– დღეს სააკაშვილი აცხადებს, რომ მან არაფერი იცოდა და ლელუაშვილი საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. ამაზე რას იტყვით?***

– იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ეს პროცესები არ შეაფასა, მათ არ მისცა შეფასება, რომ ეს იყო სისტემური დანაშაულებები, სააკაშვილი იქიდან აკეთებს ასეთ განცხადებას. ამას რომ ჰქონოდა შესაბამისი კვალიფიკაცია, ბუნებრივია, ის ამას ვეღარ გაბედავდა. სააკაშვილი ამ განცხადებით ცდილობს ეს გამოიყვანოს არა როგორც სისტემური დანაშაული, არამედ კონკრეტული ჩინოვნიკის თავნებობა და კანონიდან გადახვევა.

***– რამდენად დაუშვებთ, რომ სააკაშვილს არაფერი სცოდნოდა?***

– ეს ხომ წარმოუდგენელია?! ეს მისი პოლიტიკა იყო და მისი პოლიტიკის აღმსრულებლები იყვნენ ყველანი, ვინც დაპატიმრებულები არიან და ვინც არ არიან დაპატიმრებულები. ვინაიდან ხელისუფლებამ სათანადოთ არ შეაფასა, დღეს სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები ბედავენ იმაზე ლაპარაკს, რომ ეს ყოფილა თურმე ლელუაშვილის დანაშაული და არა – მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა. საზოგადოებას როგორი მიუღებლობა ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის მიმართ და ესენი რას აკეთებენ?!

***– რას აკეთებენ?***

– ხალხი ამ ყველაფერს რომ უყურებს, სერიოზული იმედგაცრუებაა. ხალხი საარჩევნო ყუთებთან აჯანყდა ნაციონალების წინააღმდეგ, რევოლუცია მოაწყო და ეს ყველაფერი არც გაიგო დღევანდელმა ხელისუფლებამ. ისინი ურთიერთობებში არიან ერთმანეთთან, გადაინაწილეს ბიზნესები, სათავისოდ გამოიყენეს ისეთი დამნაშავეები, თუნდაც როგორიც ლელუაშვილი იყო. ზნეობისგან დაცლილი აღმოჩნდა დღევანდელი ხელისუფლება.

***– წინა ხელისუფლების შედარებით ქვედა რგოლების ჩინოსნების დაპატიმრება „ოცნებას“ ვეღარ უშველის?***

– ნამდვილად ვერ უშველის! ამ ოთხი წლის მანძილზე მათ ისეთი შეცდომები აქვთ დაშვებული ნაციონალების არგასამართლების და მათი პოლიტიკიდან არჩამოშორების მიმართულებით, რომ დღეს სამართლიან არჩევნებზე ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს, დემოკრატიაზე – გივი თარგამაძე, ლელუაშვილი კი ლამის ადამიანის უფლებებზე გველაპარაკება!

ეს შექმნა დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი დანაშაულებრივი მიდგომით ამ ძალის მიმართ და ახლა ამ ფონზე რა შეიძლება გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ის გახდეს დამაჯერებელი და მისაღები დღევანდელი ამომრჩევლისთვის!

***– არის უკეთესი არჩევანი?***

– საქმეც ეგაა, დღევანდელ ფონზე მიუღებელია ეს ხელისუფლება საზოგადოებისთვის, მაგრამ კიდევ უფრო მიუღებელია ოპოზიცია! აი, ასეთი არჩევანის წინაშე დგას დღეს ქართველი საზოგადოება.

***– ალაპარაკდება ვაჟა ლელუაშვილი, ან თუნდაც მასტერა?***

– რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ამას ხომ ლელუაშვილიც, მასტერაც და დანარჩენებიც ხედავენ – ამათ უხერხემლობას და ამათ გარიგებულობას ნაციონალებთან. ისინი უფრო გრძნობენ. მათი მოტივაცია ძალიან დაბალია, რომ ალაპარაკდნენ და გამოძიება წაავიდეს სწორი მიმართულებით.



***– ძალიან ბევრი ჰყავდათ ჩართული ამ საქმეებში, სასტუმროებში ნომრები ჰქონდათ აღებული, სადაც ხორციელდებოდა ფარული გადაღებები. მეპატრონეებთან შეთანხმების გარეშე შეძლებდნენ ამის გაკეთებას?***

– დღეს გაიგო ამ ხელისუფლებამ, სასტუმროები რომ იყვნენ ჩართული ამ სიბინძურეში?! იმ ფირებს რომ ანადგურებდნენ, იქ რომ სასტუმროები იყო და მათი იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი, ეს არ იცოდნენ?! ესენი კი კანონზე უფრო მაღლა დადგნენ და გაანადგურეს ამდენი მასალა. სააკაშვილი მეტს კი არაფერს აკეთებდა, კანონზე მაღლა აყენებდა თავის თავს. სწორედ ეს სასტუმროები იყო იმ ფირებზე აღბეჭდილი და გამოძიებაც იქიდან უნდა დაწყებულიყო! ეს რომ გაეკეთებინათ, სულ მინიმუმ, ეს კადრები არ დაიდებოდა ინტერნეტ სივრცეში! ღიად უნდა თქმულიყო, რომ ამაში ჩართული არიან სასტუმროები და იქ ხდებოდა გადაღება! შემდეგ მოხდებოდა ამ მეპატრონეების დაკავება, მათგან ჩვენებების აღება, ვინ დაუკვეთა და ასე შემდეგ.

***– დადგება სასტუმროების მეპატრონეების პასუხისმგებლობის საკითხი? მათაც მიადგებიან?***

– ლოგიკურად უნდა მიადგნენ. დღეს ხელისუფლებას სხვა გზა აღარ აქვს. დღეს ამ კადრებით ხელისუფლების დაშანტაჟება უფრო ხდება, ვიდრე ამ კადრებში ასახული ადამიანების. სწორედ ხელისუფლებაა დაშანტაჟებული. თუმცა გამოძიების ბერკეტები აქვთ ხელიდან გაშვებული.

დღეს ასჯერ მეტი უნდა დაუჯდეს სახელმწიფოს ამ ყველაფრის გამოძიება, ვიდრე მანამდე დაუჯდებოდა. დღეს საერთოდ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ჩემთვის გაუგებარია! ნუთუ აღარავინ არსებობს, ვინც სწორ ანალიზს გააკეთებს?! ასეთი დანაშაულების ერთადერთი პრევენცია ხომ გამოძიებაა! ამათ კი რა გამოიძიეს, რა გააკეთეს? პირიქით, ყველა სამხილი გაანადგურეს! ეს უმძიმესი დანაშაულია!

# გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, მაგრამ უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალით“




– ჩვენ ვართ პატარა, მაგრამ სტრატეგიულად განლაგებული ქვეყანა უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალით; ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა, რომლის მთავრობის მთავარი პრიორიტეტია მდგრადი გრძელვადიანი განვითარება და ინკლუზიური ზრდა, – საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დუბაის მეექვსე ყოველწლიური საინვესტიციო შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, დუბაიში მეექვსე ყოველწლიური საინვესტიციო შეხვედრა ოფიციალურად გაიხსნა.

გიორგი კვირიკაშვილმა თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა მთავრობების როლს აღნიშნულ პროცესში.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– დღეს ჩვენ, როგორც ქვეყნების მმართველები, ვაწყდებით რთულ გამოწვევებს და მზარდ მოთხოვნებს. ეს გამოწვევები თავს იჩენს, როცა ეკონომიკა, საზოგადოება და გარემო განიცდის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას.

ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი ეფექტიანობა რთულ, ურთიერთდაკავშირებულ და სწრაფად ცვალებად გარემოში. ქვეყნებმა უნდა შეცვალონ თავიანთი მმართველობის სტრუქტურები, გახდნენ უფრო ღია და ჩართონ საზოგადოება და კერძო სექტორი გაუმჯობესებული და მდგრადი საჯარო მომსახურების უზრუნველყოფაში.

21-ე საუკუნე მთელს საზოგადოებას უკანონებს ახალ წესებს და ამ პროცესში მთავრობებმა უნდა შეასრულონ ლიდერის როლი.

გიორგი კვირიკაშვილმა ფორუმის მონაწილეებს საქართველოს შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობები გააცნო.

– როგორც იცით, საქართველო არის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყანა, რომელიც დღეს კონცენტრირებულია თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაზე, სადაც უზრუნველყოფილია ეფექტიანი დემოკრატიული ინსტიტუტები და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი განმარტებით, საქართველოს რეფორმების დღის წესრიგი ყოვლისმომცველია – ეკონომიკური განვითარება, განათლების სისტემის რეფორმა, ინფრასტრუქტურული განვითარება და ღია მმართველობა.

გიორგი კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას და ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ეს სავაჭრო მარშრუტი დიდ სარგებელს მოუტანს პროექტის მონაწილე ქვეყნებს.

დუბაის საინვესტიციო ფორუმის მთავარი თემაა: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახალი მსოფლიო: მახასიათებლები და საუკეთესო პრაქტიკა“. კონფერენციის მიზანი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცება და შეხვედრაში მონაწილე კომპანიების პრეზენტაციების გაცნობაა. ღონისძიების სტუმრები განიხილავენ სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე ახალი ინვესტიციების განხორციელების გზებსა და საშუალებებს.

**ინტერპრესნიუსი**



# ნარკოდანაშაულისთვის შს მინისტრის მოადგილის ცოლის ძმა დააკავეს



სამართალდამცავებმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ზურაბ გამეზარდაშვილის ცოლის ძმა დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ლაშა შავკაციშვილის აყვანა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნული ბრალდებით ერთი პირის დაკავებას ადასტურებენ, თუმცა მინისტრის მოადგილესთან მისი ნათესაური კავშირის შესახებ არ საუბრობენ.

– ჩვენ შეგვიძლია დაგიდასტუროთ მხოლოდ ის, რომ დაკავებულია ლაშა შ, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე 260-ე მუხლით აღიძრა, რაც განსაკუთრებით ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას გულისხმობს, – განაცხადეს შსს-ში.

**ინტერპრესნიუსი**

# კვირის ბოლომდე საქართველოში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი



კვირის ბოლომდე საქართველოში არამდგრადი, წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, 12-13 აპრილს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კვლავ იწვიმებს.

14 აპრილს კი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში გამოიდარებს. ზოგან წვიმა შენარჩუნდება. აღნიშნულ პერიოდში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა საქართველოში დღისით 18-23 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი.

კვირის ბოლომდე ქვეყანაში არამდგრადი, წვიმიანი ამინდი შენარჩუნდება, რომლის დროსაც ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დღისით 22-24 გრადუსი იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პროექტი „CHECK-IN GEORGIA“ – კულტურული ღონისძიებები მთელი ქვეყნის მასშტაბით

„CheckinGeorgia“ მასშტაბური ღონისძიებების სერიას მოიცავს, რაც დედაქალაქსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში კულტურული ღონისძიებების გამართვას გულისხმობს. პროგრამა ყოველწლიურად გაფართოვდება და ტრადიციად იქცევა.

აღნიშნული პროექტი საქართველოს ტურიზმის პოტენციალის პოპულარიზაციას და შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღებას ისახავს მიზნად.

რეგიონებში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში შიდა ტურიზმის ზრდას და კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

წელს, მასშტაბური კულტურული ღონისძიებები აპრილში დაიწყება და წლის ბოლომდე გაგრძელდება. პროექტის „CheckinGeorgia“ ფარგლებში დაგეგმილია კონცერტები მსოფლიო დონის ვარსკვლავების მონაწილეობით; ქართველი მსმენელის წინაშე წარდგებიან: ეროს რამაზოტი-24 აპრილს, 27 მაისს რობი უილიამსი, 18 ივნისს ხოსე კარერასი და 7 ივნისს „Maroon 5“.




პროექტისთვის „Check in Georgia“, რომელმაც გააერთიანა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ტრადიციულად მხარდაჭერილი ყოველწლიური ფესტივალები, წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 29 მილიონი ლარით დაფინანსდება.

● ისეთ მასშტაბურ ღონისძიებებზე, როგორიცაა მსოფლიოს ვარსკვლავების – ეროს რამაზოტის, რობი უილიამსის, MAROON 5-სა და ხოსე კარერასის კონცერტები;

● საქართველოს 19 ქალაქში დაგეგმილი 35 კონცერტი ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით;

● ფესტივალი „Heat Batumi“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 93 ღონისძიებას ზაფხულის სეზონის განმავლობაში ბათუმში, მათ შორის: ფასიანი და უფასო კონცერტები, თეატრალური წარმოადგენები, სხვადასხვა ტიპის შოუ, გამოფენები, ფესტივალები, ფლეშმობები და ა.შ.

● ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „Gem-Fest“;

● გარდა ამისა, „Check in Georgia-ს“ ფარგლებში, ქალაქ ბათუმში მოეწყობა საკონცერტო მოედნი, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე გახმოვანების აპარატურით, განათებით, სცენით, დაცვის მომსახურებითა და ყველა იმ სერვისით, რაც აუცილებელია სრულფასოვანი კონცერტის ჩასატარებლად.

ეს იქნება ხელისუფლების მხრიდან უპრეცედენტო შეთავაზება ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე პროდიუსერებისათვის, მომღერლებისა და მუსიკოს-შემსრულებლებისათვის, მათ მთელი ზაფხულის სეზონზე შეეძლებათ სრულიად უსასყიდლოდ ისარგებლონ აღნიშნული სივრცით, დაგეგმონ ღონისძიებები, თავად განსაზღვრონ ბილეთის ფასი და მიიღონ შემოსავალი.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების პარალელურად, დაგეგმილია კერძო და საჯარო სექტორის მონაწილეობით სხვადასხვა აქტივობა, ისეთი, როგორიც არის ღვინის, ყველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფესტივალები, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები; პროექტში ინტეგრირებული იქნება ეკო-ტურიზმის მიმართულება: ველო-ტურები, ლაშქრობები, სპეცილაური ტურები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე.

* * *

გთავაზობთ ჩამონათვალს, რომელიც ერთიანდება პროექტში „Check in Georgia“, თუმცა აქვთ დამოუკიდებელი დაფინანსება სამინისტროსგან და მათი ბიუჯეტი არ არის ამ 29 მილიონში:

1. ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი „მომავლის მეხსიერება“
2. თბილისის საგუნდო მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალი;
3. ფესტივალი თანამედროვე მუსიკის საღამოები;
4. მერსედესის მოდის კვირეული;
5. „აღდგომიდან ამაღლებამდე“;
6. ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი;
7. „ქოლგა თბილისი ფოტო“;
8. „ოქროს პეპელა“;
9. თბილისი წიგნის XVIII საერთაშორისო ფესტივალი;
10. თბილისი მეორე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი;
11. ფესტივალი „ჰით ბათუმი“;
12. „კავკაზ ჯაზ-ფესტივალი“;
13. თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მეოთხე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი;
14. ფარდაგების ფესტივალი;
15. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი;
16. „ჯიფონი-საქართველო“ საბავშვო კინოფესტივალი;
17. „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“;
18. რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი;
19. სახალხო ფესტივალი „არტ გენი“;
20. Gem Fest – ელექტრონული მუსიკის ფესტივალი;
21. „ნიქოზი“ – ანიმაციური ფილმების ფესტივალი;
22. „ღამის სერენადები“ – კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი;
23. თბილისის ფოტოფესტივალი;
24. ბათუმის მუსიკალური ფესტივალი;
25. BIAF – ბათუმის საავტორო კინოფესტივალი;
26. თბილისისსაერთაშრისო თეატრალური ფესტივალი TBS INTERNATIONAL;
27. თბილისის მოდის კვირეული;
28. „GIFT“ – ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი;
29. „თოფუზი“ – ანიმაციური ფილმების ფესტივალი;
30. „ოქროს თვალი“ – კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი;
31. მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში;
32. „Cine Doc“ – დოკუმენტური ფილმების ფესტივალი;
33. „წმ. ანდრიას ჯვარი“ – მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი;
34. თბილისის ჯაზ-ფესტივალი;
35. „თანამედროვე ცეკვის სამხრეთ კავკასიური ფესტივალი თბილისში“;
36. „არტისტერიუმი“ – თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი;
37. ბაროკოს ეპოქის მუსიკის ფესტივალი;
38. კამერული მუსიკის ფესტივალი;
39. თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი;
40. თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი;
41. „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ითბილისის XIX საერთაშორისო ფესტივალი;

* * *

ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, რომელიც მსმენელს ტოტო კუტუნიოთი ანებივრებდა, ხელისუფლების მიდგომა კომპექსურია და დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებთან ერთად სახელმწიფო ახორციელებს ტურიზმის, ადგილობრივი წარმოებისა და ზოგადად ეკონომიკის ხელშემწყობ პროექტებს, რომელთა კომპლექსური მოქმედებაც საბოლოო ჯამში: გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას, ტურიზმზე მიბმული დარგების აქტივობებს, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებას, მოქალაქეების დასაქმებას და მათი შემოსავალის გაზრდას.

ამასთან, ღონისძიებების ბილეთების გაყიდვით მიღებული თანხა ისევ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის ბიუჯეტში აკუმულირდება და შემდეგ ახალი პროექტების განხორციელებაზე იქნება მიმართული;

– საგულისხმოა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავების, ისევე როგორც ადგილობრივი შემსრულებლების კონცერტებზე დასწრება ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, რადგან ბილეთისფასიგანსაზღვრულია25 ლარიდან 200 ლარამდე;

სამწუხაროდ, კერძო სექტორის მონაწილეობა გააძვირებდა პროექტისა და ბილეთის ფასს, ამის გამო პროექტი ვეღარ იქნებოდა სახალხო და მაშინ მართლაც ვეღარ შეძლებდა ჩვენი მოქალაქეების უმეტესობა მასზე დასწრებას.

შესაძლოა გაისმას პრეტენზიები ადგილობრივი შემსრულებლების მხრიდან, რომ კონკრეტულად რომელიმე მათგანის ღონისძიება არ დააფინასა სახელმწიფომ; ან რატომ არ მიაღებინა მას მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებებში...

თუმცა, სახელმწიფო მოქმედებს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და თანასწორობის პრინციპებით და ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ყველა მომღერლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

ამ მიდგომის ნათელი მაგალითია უპრეცედენტო შეთავაზება, რომელიც ამ ზაფხულს ბათუმში იგეგმება. ზღვისპირა ქალაქში პროდიუსერებს, მომღერლებსა და მუსიკოს-შემსრულებლებს სრულიად უსასყიდლოდ საკონცერტო მოედანი დაეთმობათ. სივრცე აღჭურვილი იქნება თანამედროვე გახმოვანების აპარატურით, განათებით, სცენით, დაცვის მომსახურებითა და ყველა იმ სერვისით, რაც აუცილებელია სრულფასოვანი კონცერტის ჩასატარებლად. აღნიშნული პლატფორმა იდენტური აპარატურითაა აღჭურვილი, რომელსაც თანამედროვე მუსიკალური ინდუსტრიის ვარსკვლავები იყენებენ.

საესტრადო მომღერლებს, ბენდებს, მუსიკოს-შემსრულებლებსა და მათ პროდიუსერებს საშუალება ექნებათ კონცერტები ტურისტებით დატვირთულ სეზონზე გამართონ, ბილეთის ფასი თავადვე განსაზღვრონ და შედეგად მიღებული შემოსავალიც თავად დარჩეთ.

„CheckinGeorgia“ მასშტაბური ღონისძიებების სერიას მოიცავს, რაც დედაქალაქსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში კულტურული ღონისძიებების გამართვას გულისხმობს; პროგრამა ყოველწლიურად გაფართოვდება და ტრადიციად იქცევა. აღნიშნული პროექტი საქართველოს ტურიზმის პოტენციალის პოპულარიზაციას და შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღებას ისახავს მიზნად. რეგიონებში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში შიდა ტურიზმის ზრდას და კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

დაგეგმილი მასშტაბური კულტურული ღონისძიებების შედეგად, საქართველო გაიმყარებს პოზიციას როგორც რეგიონის კულტურული და ტურისტული ცენტრი. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ კულტურული ღონისძიებები ხელს უწყობს ქვეყანაში ტურისტთა რაოდენობის ზრდას, სავაჭრო აქტივობას და შესაბამისად,ზრდის მიღებულ შემოსავლებს.

დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებთან ერთად სახელმწიფო ახორციელებს ტურიზმის, ადგილობრივი წარმოებისა დაზოგადად ეკონომიკის ხელშემწყობ პროექტებს, რომელთა კომპლექსური მოქმედებაც საბოლოო ჯამში: გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას, ტურიზმზე მიბმული დარგების აქტივობებს, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებას, მოქალაქეების დასაქმებას და მათი შემოსავალის გაზრდას; მნიშვნელოვანად აამაღლებს ქართული სცენის პრესტიჟს, კერძო კომპანიებს გზა გაეხსნებათ და მომავალში უფრო გაუადვილდებათ მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავების ჩამოყვანა.

დაგეგმილი ღონისძიებები მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის, მათში მოაწილეობას მიიღებენ, როგორც მსოფლიო ვარსკვლავები, ისე, ქართველი მუსიკოსები დაშ ემოქმედები, რაც ერთი მხრივ გამოიწვევს დარგის განვითარებას საქართველოში, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას და საერთაშორისო იმიჯის გაზრდას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების პარალელურად, დაგეგმილია კერძო და საჯარო სექტორის მონაწილეობით სხვადასხვა აქტივობა, ისეთი, როგორიც არის ღვინის, ყველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფესტივალები, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები; პროექტში ინტეგრირებული იქნება ეკო-ტურიზმის მიმართულება: ველო-ტურები, ლაშქრობები, სპეცილაური ტურები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე.

## საქართველოს რომის პაპი სექტემბერში ეწვევა



მისი უწმინდესობა, რომის პაპი ფრანცისკე, საქართველოს სექტემბრის ბოლოს ეწვევა.

– უპირველეს ყოვლისა, რომის პაპის ვიზიტი საქართველოში უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით, არამედ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოში მოწვევა ასევე გადასცა საქართველოს პრეზიდენტმა გასულ წელს ვატიკანში ვიზიტისას, – იტყობინება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, ვატიკანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში და ეს არის სახელმწიფო, რომელთან ურთიერთობაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კათოლიკურ სამყაროში საქართველოს ცნობადობის ამაღლებისა და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის მიმართულებით.

– გარდა ამისა, წმინდა საყდარი, როგორც რელიგიური სახელმწიფო თავისთავად ორიენტირებულია მშვიდობაზე და განსაკუთრებულ როლს ასრულებს სამშვიდობო პროცესების განვითარებაში, – განაცხადა პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანმა თენგიზ ფხალაძემ.

მისი უწმინდესობა, რომის პაპი ფრანცისკე, საქართველოს კავკასიური ტურნეს ფარგლებში ესტუმრება და სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ეწვევა.

**მედიანიუსი**

## კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მოქალაქე 5 ათასი ლარით დააჯარიმა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაბამისი ლიცენზიისა და ავტორიზაციის გარეშე ელექტრონულ-საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის გამო საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1441 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით მოქალაქე დ. ქ. დააკისრა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, დ. ქ. 2015 წლის 3 სექტემბერს ინტერნეტ მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სს „სილქნეტის“ აბონენტს წარმოადგენს.

– ხელშეკრულების თანახმად დ.ქ. გააქტიურებული აქვს სატარიფო გეგმა „ფორმულა 1“, რომელიც გულისხმობს 100მ გბიანი ინტერნეტის მიწოდებას აბონენტისათვის, ღირებულება – 100 ლარი.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოდარ ნათაძე: „ფარული კადრების გავრცელების მიზანია ხალხის გამოტვინება“

## „დასავლეთში დადებითად უყურებენ ალასანიას, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად მასაც არ აღიქვამენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**სააკაშვილის ხელისუფლების გუნდის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებამ საზოგადოების ნაწილში გააჩინა განცდა, რომ „ქართულ ოცნებასა" და ნაციონალურ მოძრაობას შორის დამყარებული კოაბიტაცია ახლა მთავრდება. სახალხო ფრონტის ლიდერი, ნოდარ ნათაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს ორი ძალა ყოველთვის ერთად იყო, ამიტომ მათ კოაბიტაციაც არ სჭირდებოდათ.**

**ნოდარ ნათაძე:**

– ეს ერთი და იგივე ძალაა. კოაბიტაცია მათ შორის ზედმეტი იყო. ამიტომ, კოაბიტაცია არც ყოფილა. არჩევნების წინ ისინი ლუკმას ვერ იყოფენ. საარჩევნოდ ხდება სააკაშვილის კადრების დასუსტება. წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები ამიტომ დააკავეს. „ქართული ოცნება“ საკუთარ პოზიციებს იძლიერებს.

***– ეს მაღალჩინოსნები მხილებული არიან ფარული ჩანაწერების გადაღება-შენახვაში. რისთვის სჭირდება ვიღაცას მათი გავრცელება?***

– ფარული უკანონო კადრების გავრცელება საჭიროა ხალხის გამოტვინებისთვის. საზოგადოების ყურადღების გადატანა და გამოშტერებაა ამის მიზანი, თორემ ჩანაწერების მონაწილე პოლიტიკოსები და თანამდებობის პირები არაფერს წარმოადგენენ. ისინი არ არიან პერსპექტიული, რომ მათთვის ასეთი ბრძოლა გამოეცხადებინათ.

***– ეს კამპანია გაგრძელდება?***

– გაგრძელდება. ხალხი ამით უნდა დაკავდეს. ხელისუფლების მმართველობის სტილიც არ შეიცვლება. ამ ხელისუფლების დასახასიათებლად გამოდგება ცენტრალური საარჩევნო კომისია. ოფიციალურად დადგინდა, რომ ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია თავის თავს და კომისიაში დასაქმებულ საკუთარ ნათესავებს დიდი რაოდენობით პრემიებს უწერდა. ეს დამტკიცდა, მაგრამ ამაზე რეაგირება არ ყოფილა. ახლა ეს ცესკო ჩაატარებს არჩევნებს.

***– არჩევნების წინ თუ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ვერ იყოფენ ლუკმას, მაშინ სხვებმა რა უნდა ქნან? მმართველი კოალიციის ყველა პარტია ცალ-ცალკე გადის არჩევნებზე.***

– კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ჯამურად არ ჰქონდა პერსპექტივა. ამიტომაც დაიშალა.

***– საერთოდ, ვის რა შანსები აქვს პარლამენტში მოსახვედრად?***

მოდგენა აქვთ საკუთარ თავზე. სინამდვილეში, ისინი უსწავლელი და უპატიოსნო პირები არიან. ყველაზე საშინელებაა, რომ სამშობლოს ღალატში არიან შემჩნეული. რესპუბლიკელების არაერთი განცხადება ამის დამადასტურებელია.

***– ვის შეუძლია დასავლური ძალების შეკრება?***

– მხოლოდ პატრიოტულ ეროვნულ ძალებს. ეს ძალები განათლებული ნაციონალიზმის წარმომადგენლები არიან. ასეთი იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე.

***– ასეთი ძალები ხელისუფლებაში ვეღარ მოდიან.***

– იმიტომ, რომ მათ ებრძვის რუსეთის აგენტურა. რუსეთის ინტერესების გამტარებლები იყვნენ შევარდნაძეც, სააკაშვილიც. ასეთია ივანიშვილიც. ახლა სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება, იმიტომ, რომ რუსეთი მარცხდება.

რუსეთის აგენტები ამტკიცებენ, რომ ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთი აღგვიდგენს,



### „ეკონომიკა იმიტომაა დაქცეული, რომ მას მიზანმიმართულად ანგრევდნენ“

– პარტია „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარდა, ალასანიას და მის თავისუფალ დემოკრატებს აქვთ იმის შანსი, რომ აჩვენონ რაღაც შედეგი. ირაკლი ალასანია გაეროშია ნამუშევარი და მას დასავლეთში იცნობენ. თავდაცვის სფეროში რომ იყო და ავტომატი ეჭირა, მაშინაც კაცურად გამოიყურებოდა.

***– პროდასავლური ძალების გაერთიანება თუ შეუძლია ირაკლი ალასანიას?***

– არა, ეს მას არ შეუძლია. მას ასეთ მისიას პარტნიორებიც არ აკისრებენ. დასავლეთში მას დადებითად უყურებენ, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად არ აღიქვამენ.

ალასანიას პარტია აჩვენებს უკეთეს შედეგს, ვიდრე სხვები, მაგალითად, რესპუბლიკელები. რესპუბლიკური პარტიის წევრები საერთოდ კარიკატურებად იქცნენ, ისეთი დიდი წარ-

ჩვენ, პარტიოტული ძალები, ვამბობთ, რომ ჩვენი ტერიტორიული პრობლემების მოგვარება რუსეთის დასუსტებაზე გადის. ამიტომ, საერთაშორისო არენაზე ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთისგან გათავისუფლებისთვისაც.

***– დაახლოებით ამას ამბობდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებიც.***

– ჩვენსა და სააკაშვილის პარტიელებს შორის დიდი სხვაობაა. ისინი სიტყვით ერთს ამბობდნენ, საქმით კი სხვას აკეთებდნენ. 2008 წლის ომი სააკაშვილმა მთლიანად რუსეთის ინტერესების მიხედვით წაიყვანა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შეიქმნას ძლიერი ეროვნული ბლოკი, რომელსაც, დიდი ხანია, აქვს ქვეყნის გადარჩენის, მათ შორის, ტერიტორიების დაბრუნების პროგრამა. ჩვენ სხვა კვალიფიკაცია გვაქვს, კამათი შეგვიძლია და არ ვგავართ დღევანდელ პარლამენტარებს.

***– ქვეყნის ეკონომიკას რატომ ვერაფერი ეშველა?***

– იმიტომ, რომ ეკონომიკა მიზანმიმართულად ინგრეოდა. ეს ხდებოდა რუსეთის დავალებით. რუსეთის დავალება ეკონომიკის ნგრევა იყო. აქაური ხელმძღვანელები ამას ქურდბაცაცობასაც უმატებდნენ.

იდეოლოგიური ნგრევაც რუსეთიდან მოდის. ეს ხდება დასავლური ღირებულებების სახელით. ამ დროს დასავლეთს იგივე ფასეულობები აქვს, რაც საქართველოს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს დასავლეთთან ღირსეულად დალაპარაკება და, როცა საჭიროა, კამათი. თუ რომელიმე ნორმა მიუღებელია საქართველოს საზოგადოებისთვის, ჩვენ ეს უნდა ავხსნათ. დასავლეთი იმით განსხვავდება რუსეთისგან, რომ როცა შენს პოზიციას სამართლიანად იცავ, ის უკან იხევს. დასავლეთთან ურთიერთობისას ყოველთვის შეგვიძლია ჩვენი ინტერესების გატარება.

მედიცინა



# თაფლი ჰიპერტონულ დაავადებებსაც უხდება

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში თაფლს იყენებდნენ, როგორც სამკურნალო საშუალებას. ეგვიპტელები 3500 წლის წინ თაფლით ჭრილობებს კურნავდნენ.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე, რომელმაც 100 წელზე მეტი იცოცხლა, ამბობდა: თუ გინდათ დიდხანს იცოცხლოთ და ჯანმრთელნი იყოთ, საჭიროა „შინაგანი ორგანოების მორწყვა თაფლით, გარეგანისა კი – ცხიმითო“.

ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობისას კარგ შედეგს იძლევა შემდეგი კომბინაცია: ერთი ჭიქა სტაფილოს წვენი, ერთი ჭიქა პირშუშხას წვენი, ერთი ჭიქა თაფლი და ერთი ცალი ლიმონის წვენი.

ადამიანის გულის კუნთები განუწყვეტლივ მუშაობენ და დახარჯული ენერგიის სანაცვლოდ, ესაჭიროებათ გლუკოზა, რომელიც თაფლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, გულის დაავადებათა შემთხვევაში აუცილებელია, ყოველდღიურ რაციონში ავადმყოფს მიე-



ცეს თაფლი, როგორც დიეტური და სასარგებლო საკვები.

თაფლის გარდა, გულის შესუსტებული მუშაობის დროს გამოიყენება, აგრეთვე ფუტკრის რძის 20 მგ-იანი აბი დღეში სამჯერ. კურსი გრძელდება 15-20 დღეს.

* * *

გულის ნებისმიერი დაავადების დროს, როდესაც კუნთები დასუსტებულია, შესანიშნავ შედეგს იძლევა 1-2 თვის განმავლობაში 50-70 გრ თაფლის მიღება დღე ღამეში.

ასეთი მკურნალობის დროს უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა, გულ სისხლძარღვთა ტონუსი და ჰემოგლობინის შემცველობის პროცენტი.

თაფლი გულ სისხლძარღვთა დაავადებებისას გამოიყენება სხვა კომპონენტებთან ერთადაც. ამ შემთხვევაში მკურნალობის ეფექტიანობა კიდევ უფრო მაღალია.

1. აიღეთ 2 ჩაის ჭიქა ასკილის ნახარში, შეურიეთ ერთი კოვზი თაფლი. მიიღეთ სამჯერ დღეში ნახევარი ჭიქის ოდენობით. კურსი გრძელდება ხუთ დღეს, შემდეგ ხუთ დღეს შეწყვეტთ მიღებას და ასე გაიმეორებთ სამჯერ.

2. გულის ჰიპერტონული დაავადებისა და უძილობის დროს გამოიყენება ერთი ჭიქა ბორჯომის წყალში გახსნილი ერთი კოვზი თაფლი, ნახევარი ლიმონის წვენთან ერთად. მიიღება დილით, უზმოზე და საღამოს, ძილის წინ.

3. შესანიშნავ შედეგს იძლევა ჰიპერტონული დაავადების დროს, შემდეგი ნარევი: 1 ჭიქა წითელი ჭარხლის წვენს, 1 ჭიქა სტაფილოს წვენს, 36 საათით ადრე მომზადებულ 1 ჭიქა წყლისა და 1 ცალი ლიმონის წვენის ნარევს დავუმატოთ 1 ჭიქა თაფლი. მიიღება თითო სუფრის კოვზი 2-3 ჯერ დღეში, ჭამის წინ 1 საათით ადრე ან საჭმლის მიღებიდან 2-3 საათის შემდეგ. მკურნალობის კურსი – 1,5 თვეა.

* * *

**ლიმონის, ფორთოხლის და თაფლის ნარევი**

ეს ნარევი წმენდს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ორგანიზმს არტერიული წნევის შენარჩუნებაში. ის სპობს სტენოკარდიის, ინფარქტების და თავის ტვინში სისხლჩაქცევების შესაძლებლობებს.

მომზადების წესი: 2 საშუალო ზომის ლიმონი და 2 ცალი ფორთოხალი თავის კანიანად დაჭერით ნაწილებად, მოაცილეთ თესლები და გაატარეთ ხორცსაკეპში. მიღებულ მასას შეურიეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი. ნარევი გააჩერეთ მინის ქილაში 1 დღე ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ კი მოათავსეთ მაცივარში.

მიიღეთ 2-3 ჩაის კოვზი დღეში ჩაისთან ერთად ან ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**ასკილის სასმელი თაფლით**

10 ცალ ასკილის ნაყოფს დავასხამთ 2 ჭიქა წყალს და ვადუღებთ 10 წუთის განმავლობაში. ნახარში როდესაც შეგრილდება, უნდა გადაიტანოთ ნაყოფებთან ერთად მინის ჭურჭელში, დააფაროთ დოლბანდი და შეინახოთ ბნელ ადგილას 10-12 საათს, რის შემდეგ ნახარში გადაწურეთ, ხოლო ნაყოფი გაწურეთ. მიღებულ ნახარშს დაუმატეთ 50-60 გრ თაფლი და აურიეთ. სასმელი უნდა გამოიყენოთ 12-24 საათის განმავლობაში, სანამ „ცე“ ვიტამინი დაიშლება. მოზრდილ ადამიანს დღეში ესაჭიროება 2 ჭიქა სასმელი, ხოლო ბავშვებს – 1.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



# მკურნალი მცენარე



**ვირისტერფა**– რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელი. გრძელ დატოტვილფესვურიანი, მრავალწლიანი, მომცრო სარეველა ბალახია. აქვს გრძელყუნწიანი ფოთლები, რომლის ზედაპირი პრიალაა, ხოლო ქვემოდან ვერცხლისფერი ბუსუსებითაა შებუსვილი. მისი ყვავილი ადრე გაზაფხულზე ყვავის და ფოთლების გამოსვლამდე დაყვავილებასაც ასწრებს. ყვავის მარტ-აპრილში. საქართველოში ამ მცენარეს ძებნა არ სჭირდება. იზრდება თითქმის ყველგან: ბარში, მთაში, ტყის მთელ ზონაში, ფერდობებზე არხების პირას და სხვ. უყვარს ნესტიანი ადგილები.

მკურნალობის მიზნით გამოიყენებენ მის ფოთლებს, რომლებიც შეიცავს: გლიკოზიდებს,



სიტოსტერინს, ვაშლის ღვინის და სხვა ორგანულ მჟავებს, საპონინებს, ასკორბინის მჟავას, ინულინს, ეთერზეთს.

ვირისტერფას ფოთლები გამოიყენება ბრონქიტის, ლარინგიტის, ბრონქოექტაზის დროს, როგორც ამოსახველი, სადეზინფექციო და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ნედლი ფოთლის წვენით დასველებულ დოლბანდს აფენენ ჩირქოვან ჭრილობებზე, წყლულებსა და მუწუკებზე, როგორც ჭრილობის შემხორცებელ საშუალებას. თმისცვენის და უხვქერტლიანობის დროს თავს იბანენ ჭინჭრისა და ვირისტერფას ფოთლების მაგარი ნახარშით.

**მატიტელა** – მატიტელასებრთა ოჯახს ეკუთვნის, იგი ერთლიანი მცენარეა მთავარღერძა მცირედ დატოტვილი ფესვით. ფესვის ყელიდან მრავალი სუსტი წამოწეული და მიწაზე გართხმული 30 სმ-მდე სიმაღლის ღერო იზრდება. მწვანე ყავილების ყვავილთანები თეთრი ან წითელ არშიანია, ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ წითელი ყავილებით ყვავის. ნაყოფი სამწახნაგოვანია – შავი, იშვიათად ყავისფერი. ყვავის მთელი გაზაფხულის განმავლობაში. იგი ფართოდ გავრცელებული მცენარეა.

გვხვდება გზების პირას, საძოვრებზე, მდი-



ნარეთა სანაპიროზე. მეჩხერ ტყეებში და ბუჩქნარებში. იგი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს, ეთერზეთსა და ალკალოიდებს, ვიტამინებს, კაროტინსა და დიდი რაოდენობით სილიციუმმჟავას. გარდა ამისა, მასში ნაპოვნია მიკროელემენტები: რკინა, მანგანუმი, სპილენძი, ვანადიუმი, კალციუმი, მაგნიუმი და ვერცხლი.

ხალხურ მედიცინაში ის გამოიყენება შემკვრელ, შარდმდენ და სისხლის შემადედებელ საშუალებად. კენჭოვანი დაავადებისას მატიტელა აქტიურად შლის კენჭებს, ქვიშად აქცევს და ასე გამოჰყოფს შარდთან ერთად. ფილტვების ანთების, ძლიერი ბრონქიტის და პლევრიტის დროს ავადმყოფებს აძლევენ ჩაის სახით ვირისტერფასა და დიდგულას ყვავილებთან ერთად.

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ახალი სრული კომპლექტით, გარანტიით. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● „სამონასტრო მედიცინის“ რეცეპტურით გთავაზობთ: ალკოჰოლიზმის (შეგიძლიათ საკვებში შერევაც), თამბაქოს საწინააღმდეგო, ნევროზების, უძილობის, ქოლეცისტიტის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, სახსრების სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას მცენარეული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ჩაწერა წინასწარ. ტელ: 555-45-13-45; 599-45-88-66 „კარაბადინი“.

● „სამონასტრო მედიცინის“ რეცეპტურით გთავაზობთ შეუხორცებელი ჭრილობების, ნაწოლების, ტროპიკული წყლულების, ეგზემის, სოკოს, ბუასილის, განგრენის, ვენების ვარიკოზის, პოდაგრის მალამოებს, მამაკაცის, ქალის ფორმულებს სქესობრივი პოტენციის აღდგენა-გაჯანსაღებისათვის. მცენარეულ და თაფლის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

# ტერორისტების მიზანი იყო პარიზი და არა ბრიუსელი

## ბელგიის პროკურატურამ სენსაციური ფაქტები მოიძია



ბრიუსელის ტერაქტების გამოძიება გრძელდება. ბელგიის პოლიციამ ტერაქტის კიდევ ერთი მონაწილე დააკავა, რომელსაც მუჰამად აბრინი ქვია. ის თავის დროზე ვიდეოთვალმა დააფიქსირა.

დაკავებულმა აბრინიმ ამომწურავი ჩვენება მისცა, რის შემდეგაც ბელგიის გენერალურმა პროკურორმა სენსაციური განცხადება გააკეთა: ტერორისტები აფეთქებებს გეგმავდნენ არა ბრიუსელში, არამედ პარიზში.

– უკანასკნელ მომენტში მათ პარიზში ტერაქტების მოწყობა გადაიფიქრეს. მიზეზი საფრანგეთის კონტრდაზვერვის მიერ გატარებული სპეციალური ღონისძიებებია, – აცხადებს ბელგიის გენერალური პროკურორი ერიკ ვან დერ სიპი.

თავად აბრინიმ დაკითხვაზე დაადასტურა, რომ ტერორისტების მიზანი იყო პარიზი და არა ბრიუსელი.

– უკანასკნელ მომენტში, როცა ყველაფერი მზად იყო, მოხდა ჩავარდნა, – თქვა აბრინიმ.

მართლაც, ფრანგმა ძალოვნებმა ისლამისტურ იატაკქვეშეთს ძლიერი დარტყმა მიაყენეს. აყვანილ იქნა პრაქტიკულად ყველა აქტიური ისლამისტი. ამან ტერორისტების სტრუქტურის პარალიზება გამოიწვია.

– როგორც ჩანს, ფრანგებმა ჩვენს რიგებში პროვოკატორები შემოაგდეს. მეტიც, ჩემი აზრით, მოქმედებდა პროვოკატორების მთელი ქსელი, – თქვა აბრინიმ.

სხვა დაკავებულებმა აბრინის ჩვენება დაადასტურეს. მათი განცხადებები რიგი ფაქტებითაც დასტურდება.

ამრიგად, ბრიუსელმა თავის თავზე მიიღო დარტყმა, რომელიც პარიზისთვის ყოფილა განკუთვნილი.

# ვინ გახდება უკრაინის ახალი პრემიერი?



არსენი იაცენიუკის გადადგომის შემდეგ მწვავედ დადგა კითხვა: ვინ გახდება უკრაინის ახალი პრემიერი?

პეტრო პოროშენკოს ბლოკმა პრემიერის პოსტზე პარლამენტის ამჟამინდელი სპიკერი გროისმანი წარადგინა.

გროისმანის პრემიერად არჩევის შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელს მისი მოადგილე და ევრო-რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი ანდრეი პარუბიი დაიკავებს.

სავარაუდოდ, ცვლილებები პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც მოხდება. თანამდებობას დატოვებს ადმინისტრაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ლოჟკინი, რომელიც ვიცე-პრემიერად დაინიშნება.

ცვლილებების განსახორციელებლად პარლამენტის მხარდაჭერაა აუცილებელი.

ძველი უმრავლესობა დაიშალა. იური ლუცენკომ განაცხადა, რომ უკვე შექმნილია ახალი უმრავლესობა და მასში როგორც პეტრო პოროშენკოს ბლოკი, ასევე სახალხო ფრონტიც გაერთიანდნენ.

– ჩვენ 226 ხმა უკვე გვაქვს, – ამბობს ლუცენკო.

მიუხედავად ამისა, იურიდიულად ახალი კოალიციის შექმნა ჯერ არ გაფორმებულა. ჯერჯერობით იაცენიუკმა გადადგომის შესახებ გამოაცხადა, რითაც პრემიერის პოსტი ვაკანტური გახდა.

ვარაუდობენ, რომ მომავალში იაცენიუკი კენჭს პრეზიდენტის პოსტზე იყრის.

# სირია: სამშვიდობო პროცესი საფრთხეშია



სირიის დიქტატორმა ასადმა განაცხადა, რომ გაგზავნის დელეგაციას ჟენევის მოლაპარაკებებზე. მათი ძირითადი თემა ცეცხლის შეწყვეტა და მშვიდობის აღდგენაა.

პარალელურად ასადის არმია ალეპოს შტურმისთვის ემზადება. ამაში მას რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალები აქტიურ დახმარებას გაუწევენ.

ალეპოში მძიმე მდგომარეობაა. შეუძლებელია გაარჩიო, სადაა გამაგრებული ექსტრემისტული ორგანიზაცია ალ-ნუსრა და ზომიერი სირიული ოპოზიცია.

რუსი ექსპერტის შუმილინის აზრით, თუკი ასადმა ალეპოს შტურმი მართლაც დაიწყო, ეს ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს გამოიწვევს.

– სამშვიდობო პროცესი საფრთხეშია და ეს როგორც ასადის, ასევე რუსეთის გამო ხდება, – აცხადებს შუმილინი.

# ოდესაში რუსული მარში ჩაიშალა



ოდესის პრორუსულმა ძალებმა ქალაქის გერმანელი და რუმინელი ფაშისტებისგან გათავისუფლების თარილის აღნიშვნა სცადეს. მერის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მათ პირობა დადეს, რომ არც კომუნისტურ და არც ე.წ. „ნოვოროსიის“ სიმბოლოებს არ გამოიყენებდნენ, თუმცა ეს ცარიელ სიტყვებად დარჩა.

– მათ არა მხოლოდ ე.წ. „ნოვოროსიის“ სიმბოლიკა გამოიტანეს, ისინი სკანდირებდნენ „გაუმარჯოს ოდესის რესპუბლიკას“, „ძირს კიევის დიქტატი“ და ა.შ. – იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

მოსახლეობამ სეპარატისტებს მხარი არ დაუჭირა. აქციაზე მხოლოდ 200 მოქალაქე შეიკრიბა.

პოლიციამ სეპარატისტების მსვლელობას ხელი არ შეუშალა. სამაგიეროდ, ოდესის პროუკრაინული ძალები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ სეპარატისტები ცემა-ტყეპით გააძევეს. „ნოვოროსიის“ დროშა კონფისკირებულ იქნა. ეს დროშა, და გიორგის ლენტები უკრაინელმა პატრიოტებმა ქალაქის ცენტრში დაწვეს.

მეორე დღეს 50-მდე პრორუსი აქტივისტი შეიკრიბა პროფკავშირების სასახლესთან, სადაც ორი წლის წინ სისხლიანი ტრაგედია მოხდა. ისინი ოდესელებს მოუწოდებდნენ, ქუჩაში გამოსულიყვნენ და „ფაშისტების“ ხელისუფლება დაემხოთ.

პროფკავშირების სასახლესთან უკრაინელი პატრიოტებიც მოვიდნენ. მათ რუსული მარშის წევრებს ალყა შემოარტყეს და ჩაქოლვა დაუპირეს.

ამის შემდეგ საქმეში ჩაერია პოლიცია და ეროვნული გვარდია. პუტინის მომხრეების ლინჩის წესით გასამართლება აღკვეთილ იქნა.

# ფუჰიმორის ქალიშვილი პერუს საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერობს



პერუში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

ლიდერობს ყოფილი დიქტატორის ფუჰიმორის ქალიშვილი კეიკო. მან ხმების 38 პროცენტი დააგროვა.

მეორე ადგილზე არიან მემარცხენე ვერონიკა მენდოსა და მემარჯვენე-ცენტრისტი პაბლო კუჩინსკი. მათ ხმების მხოლოდ 20 პროცენტი აქვთ.

თუკი კეიკო ფუჰიმორიმ პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა, ჩატარდება მეორე ტური.

თავის ტელე-ინტერვიუში კეიკო ფუჰიმორიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მისი პრიორიტეტი კორუფციის ალაგმვა და დამნაშავეობასთან ბრძოლა გახდება.

კეიკოს მამა, პერუს ექს-დიქტატორი ფუჰიმორი, ამჟამად ციხეში იმყოფება. სასამართლომ ის კორუფციასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში დამნაშავედ ცნო.

ფუჰიმორი-უფროსს 25 წლით პატიმრობა მიესაჯა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ბელარუსში ოპოზიციონერებს ფულს აწერენ





ბელარუსში ოპოზიციას კვლავაც ავიწროებენ. თუკი მანამდე ოპოზიციის აქტივისტებს უბრალოდ აპატიმრებენ, ახლა ახალი მეთოდი შემოიღეს – მათ კოლოსალურ ჯარიმებს აწერენ.

– ლუკაშენკომ ევროპის კრიტიკა გარკვეულწილად ყურთ იღო. ჩვენ აღარ გვიჭერენ, უბრალოდ, უზარმაზარ ჯარიმებს გვაწერენ, – აცხადებს ბელარუსის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლებედკო.

# ნეტანიაჰუ: „თურქეთი აჩქარდა“



თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ პალესტინელებსა და ისრაელს შორის ურთიერთობების დარეგულირების შესახებ ისრაელის გაღიზიანება გამოიწვია.

– თურქეთი აჩქარდა, – ასეთი კომენტარი გააკეთა ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ.

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები 2009 წელს დაიძაბა. შემდგომში კონფრონტაცია გაღვივდა. ამას დიდად შეუწყო ხელი ღაზის სექტორში თურქული ფლოტილიის დატყვევებამ.

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები დღესაც დაძაბულია.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# თბილისის დინამო თითქმის ჩემპიონია

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტური

**ცხინვალი – დინამო (თბ) 2:4**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0:1 ჭანტურიშვილი (16), 0:2 იაშვილი (24), 1:2 გორგიაშვილი (30პ), 2:2 ბეჭვაია (62), 2:3, 2:4 ქვილითაია (74, 76პ)

**ცხინვალი:** ნადირაძე, გორგიაშვილი, ბეჭვაია, ლექვთაძე, მაისაშვილი, ჯაფარიძე, კაკუბავა, ბაჩიაშვილი, ქოჩლაძე, ნოზაძე (ისიანი 28), ივანიშვილი

**დინამო:** ჰრდლიჩკა, ლობჟანიძე, ამისულაშვილი, იაშვილი, კიტეიშვილი (ჯიღაური 60), პარუნაშვილი, თევზაძე (არაბული 67), გველესიანი, ჭელიძე, ჭანტურიშვილი, გელაშვილი (ქვილითაია 55)

მატჩი თამამად შეიძლება ორგოლიან ეპიზოდებად დავყოთ. ჯერ დინამო იგებდა 2 ბურთით, შემდეგ 2-ჯერ ცხინვალმა იხეირა და მატჩი გაათანაბრა, ბოლოს ისევ დინამოელმა ქვილითაიამ შეასრულა დუბლი და მატჩიც ასე მორჩა.

დებიუტში ალექსანდრე იაშვილმა ზუსტი პასით ნიკოლოზ გელაშვილი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. დინამოს ფორვარდის დარტყმული ბურთი კი ცხინვალის კარის ძელს მოხვდა.

მე-16 წუთზე სტუმრებმა ლამაზი კომბინაციით გახსნეს ანგარიში. იაშვილის გათამაშებული ჯარიმის შემდეგ, ცხინვალელთა საჯარიმოში უჩა ლობჟანიძემ ითამაშა კარგად, ბურთი ვახო ჭანტურიშვილს გადააწოდა, რომელმაც ერთი შეხებით და ზუსტი დარტყმით გაიტანა. ორიოდე წუთში ჭანტურიშვილი კიდევ ერთხელ, თუმცა არაზუსტად დაემუქრა გიორგი ნადირაძის კარს.

24-ე წუთზე მსაჯმა გიორგი გველესიანზე უხეშობის გამო ცხინვალის კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა. ალექსანდრე იაშვილის დარტყმული გიორგი ნადირაძემ მოიგერია, თუმცა დამატებაზე ისევ იაშვილმა ივარგა და დინამო 2:0 დაწინაურდა.

ცოტა ხანში მასპინძლებმა სწრაფი იერიში განახორციელეს, რომელსაც გიორგი ივანიშვილი ასრულებდა, მაგრამ ლიბორ ჰრდლიჩკამ ითამაშა კარგად. მომდევნო იერიშში კი არბიტრმა უკვე დინამოს კარში დანიშნა პენალტი. თერთმეტმეტრიანი ზუსტად თორნიკე გორგიაშვილმა შეასრულა 1:2. 38-ე წუთზე სლოვაკმა მეკარემ გორგიაშვილის დარტყმულის შემდეგ, ისევ იხსნა დინამოელთა კარი.

მეორე ტაიმში პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. ლაშა ქოჩლაძის უძლიერესი დარტყმული ლიბორ ჰრდლიჩკამ უკუაგდო. ცხინვალმა სტატუს ქვოს აღდგენა 62-ე წუთზე მოახერხა. ზუსტი დარტყმა გიგა ბეჭვაიას ანგარიშზეა.

მატჩის 74-ე და 76-ე წუთებზე შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ქვილითაიამ დუბლი შეასრულა. პირველ შემთხვევაში შორიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმით ისევ დააწინაურა დინამო, შემდეგ კი თავადვე მოიპოვა პენალტის დარტყმის უფლება და 11 მეტრიდან გაიტანა.

ბოლოს ბეჭვაიამ და იაშვილმა გაცვალეს მომენტები და მატჩიც მორჩა. საბოლოოდ თბილისელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს და 64 ქულას მოუყარეს თავი და ჩემპიონობისთვის დარჩენილ 6 მატჩში 4 ქულაც ჰყოფნის.

**დილა – სიონი 2:1**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 მარცვალაძე (17), 2:0 ნონიკაშვილი (80), 2:1 კობახიძე (84)

**დილა:** მუჯირიშვილი (ლეგაშვილი 84), კვირკველია, ღონღაძე, ხურცილავა, ბაგაევი, სამხარაძე, ფალავანდიშვილი, წიქარიძე, მარცვალაძე, ჩელებაძე (ძარია 57), მაშუკოვი (ნონიკაშვილი 61)

**სიონი:** მერლანი, სვანიძე (კობახიძე 56), ვ.კილასონია, გურეშიძე, რაზმაძე, გოგობერიშვილი (გოგინაშვილი 56), გვალია, გაფრინდაშვილი, გიორბელიძე, ტატანაშვილი, ლუის ალბერტო (შალამბერიძე 72)

**გაძევება:** გვალია (80)

ამ მოგებით დილამ დიდი ნაბიჯი გადადგა ევროტურნირებისკენ. დარჩენილ ტურებში გორელებს კარგი კალენდარი აქვთ და უპირატესობის განიავება ცოტა რთულიც კი იქნება. ბოლნისელები კი თასის იმედად დარჩნენ.

ანგარიში მე-17 წუთისთვის გაიხსნა. გორელთა შემადგენლობიდან თავი ოთარ მარცვალაძემ გამოიჩინა. მატჩის მე-80 წუთზე ლევან ნონიკაშვილმა მასპინძლების უპირატესობა ორბურთიანი გახადა. ბოლნისელებმა შეხვედრის მიწურულს პრესტიჟის გოლის გატანა მაინც მოახერხეს – გოლი ოთარ კობახიძის ანგარიშზეა.



**ტორპედო – სამტრედია 2:1**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია

0:1 ზივზივაძე (25), 1:1 კაპანაძე (43), 2:1 ტაბატაძე (81)

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე, ადამაძე, ჭიჭინაძე, ქიმაძე, მამასახლისი (კვერნაძე 77), კუხიანიძე, საღრიშვილი (კლიმიაშვილი 56), ბრეგვაძე (ტუღუში 66), შინდაგორიძე, კაპანაძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, შერგელაშვილი, ცნობილაძე, ენდელაძე (ახალაძე 83), მარკოზაშვილი (სიხარულიძე 60), რაჟამაშვილი, ზივზივაძე, დ.ჯიქია

არანაკლებ დაძაბული დაპირისპირება გამოდგა რამაზ შენგელიაზე გამართული მატჩი. კვლავ ჩინებულ ფორმაშია ბუდუ ზივზივაძე, რომელმაც 25 წუთისათვის სტუმრები წინ გაიყვანა.

თუმცა, ტორპედომ მოახერხა და მატჩი სათავისოდ შემოატრიალა: პირველი ტაიმის ბოლოს თორნიკე კაპანაძემ გაათანაბრა, ხოლო 81-ე წუთზე ვაჟა ტაბატაძემ მე-2 გაიტანა და საკუთარ გუნდს 3 ქულაც მოუტანა.

**დინამო (ბთ) – გურია 1:2**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 კომაზეცი (26), 1:1, 1:2 სმოლი (32, 34)

**დინამო ბთ:** მამინაშვილი, სუხიაშვილი, მიჰაილოვიჩი (მაქაცარია 74), ტეტუნაშვილი, ტვილდიანი, შონია, თევდორაძე, ფონიავა, ბერიაშვილი, კომაზეცი, ჭკუასელი

**გურია:** იოვანოვიჩი, ნუნიესი, ჩადუნელი, კაბორე, ნოზაძე, ზოზულია, კახელიშვილი, მოროზენკო, კვეკვესკირი (გამყრელიძე 46), კილაძე (ბენეტი 73), სმოლი (პანებენგ-ფოდოუპი 60)

უაღრესად დრამატული გამოდგა მატჩი: ანგარიში 26-ე წუთისთვის ნიკოლა კომაზეცმა ულამაზესი შორეული დარტყმით გახსნა. თუმცა 8 წუთში წინ უკვე გურია იყო – ლანჩხუთელთა პანამელმა ლეგიონერმა დუბლი შეასრულა და გურულებს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**მერანი – საპოვნელა 2:0**

**მარტვილი.** მურთაზ ხურცილავა

1:0, 2:0 საბანაძე (52, 61)

**მერანი:** მამალაძე, ციმაკურიძე, ორბელაძე, მელიავა, გიორგაძე, წყაროზია, ტეიდი (კიკნაველიძე 85), გოგუაძე (ხაბელაშვილი 46), ჩიმაკაძე, შ.ჯიქია (უგულავა 79), საბანაძე

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ბერუაშვილი (მიქაბერიძე 33), ჩიკვილაძე, ლ.ჭელიძე (ბუხაიძე 65), ენდელაძე, ბოლქვაძე, ქათამაძე, გულუა (ბანძელაძე 17), მაკარიძე, დვალი

აუტსაიდერთა მატჩი მოიგო გუნდმა, რომელიც უკეთ გამოიყურებოდა. მარტვილელებმა ნიკოლოზ საბანაძის დუბლით მოიგეს, პირდაპირ გასავარდნ ზონას თავი აარიდეს, ხოლო თერჯოლელებმა ბოლო ადგილზე გადაინაცვლეს.

**ზუგდიდი – შუქურა 3:0**

**ზემო ეწერი.** ცენტრალური

1:0 კალანდაძე (11), 2:0 სამუშია (80), 3:0 პუკანიჩი (90სკ)

**ზუგდიდი:** ზარქუა, გაგოშიძე, ჯავაშვილი, მაჩაიძე, ჩუკვურა, ტყემალაძე, წურწუმია, სიხარულია, გ.სამუშია (ნ.ლაშხია 85), მალანია (ქობალია 66), კოვალენკო (ჩანადირი 82)

**შუქურა:** ჯიოევი, ბრაჭული, გეგეჭკორი, კალანდაძე, პუკანიჩი, თარხნიშვილი, კომახიძე, ჭანუყვაძე (მოსიაშვილი 46), კერძევაძე (ტაკიძე 64), ე.ლობჟანიძე, ურიდია (სტურუა 79)

ზუგდიდელებმა ჩინებული მატჩი ჩაატარეს და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს, რითიც ელიტაში დარჩენის შანსი ოდნავ გაიუმჯობესეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 24 | 21 | 1 | 2 | 64-22 | 64 |
| 2.სამტრედია | 24 | 16 | 2 | 6 | 55-27 | 50 |
| 3.დილა | 24 | 15 | 5 | 4 | 39-19 | 50 |
| 4.სიონი | 24 | 12 | 7 | 5 | 44-26 | 43 |
| 5.ჩიხურა | 23 | 13 | 4 | 6 | 42-19 | 43 |
| 6.ცხინვალი | 24 | 10 | 8 | 6 | 40-30 | 38 |
| 7.დინამო (ბთ) | 24 | 10 | 6 | 8 | 35-26 | 36 |
| 8.ტორპედო | 24 | 9 | 6 | 9 | 33-35 | 33 |
| 9.შუქურა | 24 | 8 | 7 | 9 | 23-26 | 31 |
| 10.საბურთალო | 23 | 8 | 5 | 10 | 34-50 | 29 |
| 11.კოლხეთი | 23 | 6 | 5 | 12 | 16-26 | 23 |
| 12.ლოკომოტივი | 23 | 5 | 6 | 12 | 22-29 | 21 |
| 13.გურია | 24 | 4 | 8 | 12 | 21-39 | 20 |
| 14.მერანი | 24 | 4 | 5 | 15 | 21-50 | 17 |
| 15.ზუგდიდი | 24 | 3 | 6 | 15 | 22-52 | 15 |
| 16.საპოვნელა | 24 | 3 | 5 | 16 | 14-49 | 14 |

# დალას მავერიკსსა და ზაზა ფაჩულიას პლეი ოფში გასვლა გადაედოთ



ზაზა ფაჩულიას დალას მავერიკსმა ლოს ანჯელესში კლიპერსთან 91:98 წააგო, ხოლო კონკურენტმა ჰიუსტონ როკეტსმა იმარჯვა და პლეი ოფში შესასვლელად ბრძოლას აგრძელებს.

დალასს 41 მოგება და 39 წაგება აქვს. ჰიუსტონს – პირიქით, რაც რაკეტებს შანსს უტოვებს, დარჩენილი 2 შეხვედრა მოიგოს და დალასელთა წაგების იმედზე იყოს. ბრძოლაშია მესამე გუნდიც – იუტა ჯაზმა, რომელმაც დენვერში იმარჯვა და 40 მოგება და 39 მარცხი გააჩნია.

მომდევნო ტურში ერთმანეთს სწორედ იუტა და დალასი ხვდებიან. გამარჯვების შემთხვევაში დალასი პლეი ოფში გავა, სხვა შემთხვევაში ბოლო ტურის იმედად უნდა იყოს. იქაც რამდენიმე ვარიანტი აქვს.

კლიპერსთან კი, დალასელებს შანსი ფაქტობრივად არ ჰქონიათ. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა მძლავრი მესამე პერიოდი ჩაატარეს, რომელიც 27:12 მოიგეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 17 ქულით დაწინაურდნენ.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 17 წუთში 5 ქულა, 4 მოხსნა და 2 დაფარება მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

სადღეისოდ, დალასელებს უპირატესობა კი აქვთ, მაგრამ კალენდარი არ უწყობთ ხელს. ფაჩულიას გუნდი ბოლო 2 მატჩში იუტას და სან ანტონიოს ხვდება, კონკურენტი ჰიუსტონი კი – მინესოტასა და საკრამენტოს.

# შედეგები

**10 აპრილი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ლესტერი ................ 0:2
ლივერპული-სტოკი ........................ 4:1
ტოტენჰემი-მანჩესტერი ................ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 33 | 21 | 9 | 3 | 57-31 | 72 |
| 2.ტოტენჰემი | 33 | 18 | 11 | 4 | 60-25 | 65 |
| 3.არსენალი | 32 | 17 | 8 | 7 | 55-33 | 59 |
| 4.სიტი | 32 | 17 | 6 | 9 | 58-33 | 57 |
| 5.მანჩესტერი | 32 | 15 | 8 | 9 | 39-30 | 53 |
| 6.ვესტ ჰემი | 32 | 13 | 13 | 6 | 52-40 | 52 |
| 7.საუთჰემპტონი | 33 | 14 | 8 | 11 | 44-34 | 50 |
| 8.ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 50-42 | 48 |
| 9.სტოკი | 33 | 13 | 8 | 12 | 37-43 | 47 |
| 10.ჩელსი | 32 | 11 | 11 | 10 | 49-42 | 44 |
| 11.ბორნმუთი | 33 | 11 | 8 | 14 | 40-55 | 41 |
| 12.სუონსი | 33 | 10 | 10 | 13 | 34-42 | 40 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 10 | 10 | 12 | 31-39 | 40 |
| 14.ევერტონი | 31 | 9 | 12 | 10 | 52-43 | 39 |
| 15.უოტფორდი | 32 | 10 | 8 | 14 | 31-37 | 38 |
| 16.კრ.პალასი | 32 | 10 | 7 | 15 | 35-42 | 37 |
| 17.ნორვიჩი | 33 | 8 | 7 | 18 | 35-57 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 32 | 6 | 9 | 17 | 36-57 | 27 |
| 19.ნიუკასლი | 32 | 6 | 7 | 19 | 32-61 | 25 |
| 20.ასტონ ვილა | 33 | 3 | 7 | 23 | 23-64 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-სევილია ......................... 2:1
ვილიარეალი-ხეტაფე ...................... 2:0
ბილბაო-რაიო ................................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 24 | 4 | 4 | 87-27 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 32 | 23 | 4 | 5 | 54-16 | 73 |
| 3.რეალი | 32 | 22 | 6 | 4 | 93-29 | 72 |
| 4.ვილიარეალი | 32 | 17 | 9 | 6 | 41-26 | 60 |
| 5.სელტა | 32 | 15 | 7 | 10 | 45-52 | 52 |
| 6.ბილბაო | 32 | 15 | 6 | 11 | 50-40 | 51 |
| 7.სევილია | 32 | 13 | 9 | 10 | 45-39 | 48 |
| 8.მალაგა | 32 | 10 | 11 | 11 | 30-29 | 41 |
| 9.სოსიედადი | 32 | 11 | 8 | 13 | 40-42 | 41 |
| 10.ეიბარი | 32 | 10 | 8 | 14 | 43-48 | 38 |
| 11.დეპორტივო | 31 | 7 | 16 | 8 | 40-44 | 37 |
| 12.ბეტისი | 32 | 9 | 10 | 13 | 29-45 | 37 |
| 13.ვალენსია | 32 | 9 | 10 | 13 | 36-39 | 37 |
| 14.ლას პალმასი | 31 | 10 | 6 | 15 | 34-43 | 36 |
| 15.ესპანიოლი | 32 | 10 | 6 | 16 | 33-60 | 36 |
| 16.რაიო | 32 | 7 | 10 | 15 | 43-64 | 31 |
| 17.გრანადა | 32 | 7 | 9 | 16 | 33-57 | 30 |
| 18.ხიხონი | 32 | 7 | 7 | 18 | 32-53 | 28 |
| 19.ხეტაფე | 32 | 7 | 7 | 18 | 28-56 | 28 |
| 20.ლევანტე | 32 | 6 | 7 | 19 | 28-55 | 25 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-მალიორკა ...................... 2:1
ალავესი-ტენერიფე ......................... 2:2
კორდობა-ალბასეტე ....................... 2:3
უესკა-ხიმნასტიკი .......................... 2:0
ოვიედო-ნუმანსია ......................... 1:0
ოსასუნა-ელჩე ................................ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შალკე-დორტმუნდი ........................ 2:2
კიოლნი-ლევერკუზენი .................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 24 | 3 | 2 | 69-14 | 75 |
| 2.დორტმუნდი | 29 | 21 | 5 | 3 | 69-30 | 68 |
| 3.ჰერტა | 29 | 14 | 7 | 8 | 39-34 | 49 |
| 4.ლევერკუზენი | 29 | 14 | 6 | 9 | 44-33 | 48 |
| 5.გლადბახი | 29 | 14 | 3 | 12 | 59-45 | 45 |
| 6.მაინცი | 29 | 13 | 6 | 10 | 40-36 | 45 |
| 7.შალკე | 29 | 13 | 6 | 10 | 41-40 | 45 |
| 8.ვოლფსბურგი | 29 | 10 | 9 | 10 | 40-38 | 39 |
| 9.ინგოლშტადტი | 29 | 10 | 9 | 10 | 27-31 | 39 |
| 10.ჰამბურგი | 29 | 9 | 7 | 13 | 35-40 | 34 |
| 11.კიოლნი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-37 | 34 |
| 12.შტუტგარტი | 29 | 9 | 6 | 14 | 46-59 | 33 |
| 13.დარმშტადტი | 29 | 7 | 11 | 11 | 32-44 | 32 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 29 | 7 | 10 | 12 | 33-44 | 31 |
| 15.აუგსბურგი | 29 | 7 | 9 | 13 | 37-48 | 30 |
| 16.ვერდერი | 29 | 7 | 7 | 15 | 39-59 | 28 |
| 17.აინტრახტი | 29 | 6 | 9 | 14 | 29-46 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 29 | 5 | 3 | 21 | 24-54 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ზ.პაული ...................... 4:3
კაიზერი-კარლსრუე ........................ 0:0
ნიურნბერგი-დუისბურგი ................. 1:2

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ატალანტა ......................... 2:1
ნაპოლი-ვერონა ............................. 3:0
სამპდორია-უდინეზე ....................... 2:0
პალერმო-ლაციო ............................ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 24 | 4 | 4 | 58-17 | 76 |
| 2.ნაპოლი | 32 | 21 | 7 | 4 | 66-27 | 70 |
| 3.რომა | 31 | 18 | 9 | 4 | 66-32 | 63 |
| 4.ინტერი | 32 | 17 | 7 | 8 | 42-30 | 58 |
| 5.ფიორენტინა | 32 | 16 | 8 | 8 | 51-35 | 56 |
| 6.მილანი | 32 | 13 | 10 | 9 | 42-35 | 49 |
| 7.სასუოლო | 32 | 12 | 12 | 8 | 40-35 | 48 |
| 8.ლაციო | 32 | 12 | 9 | 11 | 42-42 | 45 |
| 9.კიევო | 32 | 12 | 8 | 12 | 38-40 | 44 |
| 10.ჯენოა | 32 | 11 | 7 | 14 | 37-37 | 40 |
| 11.ტორინო | 32 | 10 | 9 | 13 | 41-44 | 39 |
| 12.ემპოლი | 32 | 10 | 9 | 13 | 36-43 | 39 |
| 13.ატალანტა | 32 | 9 | 9 | 14 | 31-38 | 36 |
| 14.ბოლონია | 31 | 10 | 6 | 15 | 30-36 | 36 |
| 15.სამპდორია | 32 | 9 | 9 | 14 | 46-49 | 36 |
| 16.უდინეზე | 32 | 9 | 7 | 16 | 29-48 | 34 |
| 17.კარპი | 32 | 6 | 10 | 16 | 29-50 | 28 |
| 18.პალერმო | 32 | 7 | 7 | 18 | 29-57 | 28 |
| 19.ფროზინონე | 32 | 7 | 6 | 19 | 29-60 | 27 |
| 20.ვერონა | 32 | 3 | 13 | 16 | 27-54 | 22 |

**იტალია. სერია ბ**

კომო-პრო ვერჩელი ........................ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-მონაკო ................................ 4:1
ნიცა-რენი ..................................... 3:0
მარსელი-ბორდო ........................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 26 | 5 | 2 | 83-18 | 83 |
| 2.ლიონი | 33 | 16 | 7 | 10 | 54-34 | 55 |
| 3.მონაკო | 33 | 14 | 13 | 6 | 48-40 | 55 |
| 4.ნიცა | 33 | 15 | 8 | 10 | 50-37 | 53 |
| 5.რენი | 33 | 13 | 12 | 8 | 50-42 | 51 |
| 6.სტ.ეტიენი | 33 | 15 | 6 | 12 | 39-34 | 51 |
| 7.ლილი | 33 | 12 | 13 | 8 | 33-25 | 49 |
| 8.ანჟე | 33 | 12 | 10 | 11 | 35-32 | 46 |
| 9.კაენი | 33 | 14 | 4 | 15 | 35-44 | 46 |
| 10.ნანტი | 33 | 11 | 11 | 11 | 30-35 | 44 |
| 11.ბასტია | 33 | 12 | 7 | 14 | 31-37 | 43 |
| 12.ბორდო | 33 | 10 | 13 | 10 | 41-50 | 43 |
| 13.ლორიანი | 33 | 10 | 12 | 11 | 45-51 | 42 |
| 14.მარსელი | 33 | 8 | 16 | 9 | 43-38 | 40 |
| 15.გენგამი | 33 | 10 | 9 | 14 | 39-49 | 39 |
| 16.მონპელიე | 33 | 10 | 7 | 16 | 38-42 | 37 |
| 17.რეიმსი | 33 | 9 | 9 | 15 | 37-48 | 36 |
| 18.გაზელეკი | 33 | 7 | 13 | 13 | 31-45 | 34 |
| 19.ტულუზა | 33 | 7 | 11 | 15 | 38-49 | 32 |
| 20.ტრუა | 33 | 2 | 8 | 23 | 22-72 | 14 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ჰერენვენი-ალკმაარი ...................... 4:2
გრონინგენი-გრააპსხაპი ................. 3:1
უტრეხტი-ნაიმეგენი ........................ 3:1
ტვენტე-ფეინოორდი ....................... 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნაციონალი-ეშტორილი .................. 4:1
სეტუბალი-ბელენენსეში ................. 0:1
ტონდელა-მადეირა ......................... 1:0
ფერეირა-პორტუ ............................ 1:0
ბრაგა-მორეირენშე ......................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ტერეკი ................................... 1:0
კრასნოდარი-ურალი ........................ 6:0
სპარტაკი-ყუბანი ............................ 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ციურიხი ............................ 2:2
სიონი-თუნი ................................... 2:1
ვადუცი-სტ.გალენი ......................... 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ადმირა ........................ 1:0

**ბელგია. იუპილიგა**

ვარეგემი-ანდერლეხტი .................... 1:2
სტანდარდი-კორტრაიკი ................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-პანიონიოსი ............................ 2:0
ასტერასი-პანათინაიკოსი ................ 0:0
იანინა-პლატანიასი ........................ 2:0
კალონი-ატრომიტოსი ...................... 2:4
პანეთოლიკოსი-ოლიმპიაკოსი ......... 2:5
პანთრათიკოსი-ირაკლისი ............... 0:3
პაოკი-ლევადიაკოსი ....................... 2:0
ვერია-ქსანთი ................................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

მერსინი-გენჩლერი ......................... 1:3
ქაისერი-ანთალია ........................... 0:0
ტრაბზონი-ბასაკშეჰირი .................. 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სპარტა-პრჟიბრჟამი ....................... 2:1

**უკრაინა. პარი მატჩ ლიგა**

კარპატი-ოლექსანდრია .................. 2:2
სტალი-შახტარი ............................. 3:3
დინამო-ვოლინი ............................. 3:0
ზორია-დნიპრო .............................. 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-ოლბორგი .......................... 0:2
რანდერსი-კოპენჰაგენი .................. 1:1
ბრონდბიუ-ოდენსე ........................ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-დიურგარდენი .................... 1:2
ჰამარბი-ჰელსინბორგი ................... 5:1
ფალკენბერგი-ოსტერსუნდსი ........ 1:2
კალმარი-ელფსბორგი ..................... 3:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბრანი-ბოდო გლიმტი ..................... 1:0
რუსენბორგი-ალესუნდი ................. 1:0
სტარტი-მიოლდე ........................... 1:1
ტრომსი-სტრომგოდსეტი ............... 2:0
ვიკინგი-ოდ გრელანდი .................. 0:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის განჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## იტალიელ მეფუტკრეს მილიონი ფუტკარი მოჰპარეს



იტალიელი მეფუტკრე მარიო ბერტი ჯილდოს ჰპირდება იმას, ვინც დაახლოებით 1,2 მილიონი მოპარული ფუტკრის პოვნაში დაეხმარება. თუ რა თანხაზეა საუბარი, უცნობია.

77 წლის მამაკაცმა, რომელიც კომუნა კარავინოში ცხოვრობს, პოლიციას მიმართა. მისი თქმით, ქურდობა გვიან ღამით მოხდა და ის კარგად დაგეგმილ დანაშაულს ჰგავდა. საერთო ჯამში, ბერტის 17 სკა მოჰპარეს და თითოეულ მათგანში 70 ათასამდე ფუტკარი ბინადრობდა.

მეფუტკრე ამტკიცებს, რომ მისმა ზარალმა დაახლოებით 5 ათასი ევრო შეადგინა. მან ასევე აღნიშნა, რომ ასეთი მასშტაბური ქურდობა უკიდურესად ნეგატიურად აისახება მის ბიზნესზე.

მეფუტკრემ ისიც განაცხადა, რომ მისთვის ადრეც მოუპარავთ სკები, მაგრამ პოლიციისთვის არ მიუმართავს იმის გამო, რომ მაშინ ზარალი უმნიშვნელო იყო.

## ავსტრალიაში მარიხუანას მოყვარულებისთვის კაფე გაიხსნა



ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გაიხსნა კაფე მათთვის, რომელთაც მარიხუანას მოწევის შემდეგ დანაყრება უყვართ. თავად დაწესებულებაში, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, მარიხუანას მოხმარება აკრძალულია.

აღსანიშნავია, რომ ფასტფუდების კაფე მომხმარებლებს სთავაზობს კერძების უჩვეულო შეხამებას, რომელთა შორისაა: პიცა-ჰოთდოგი ბეკონით, კრენდელები და ბუტერბროდები ნაყინით, ბურგერები პროშუტოთი და ყველი ბრით, შემწვარი ნაჩოს-რავიოლი. იმისთვის, რათა მომხმარებლებს არ გაუჩნდეთ შეკითხვა, თუ სად მოხვდნენ, ადგილობრივმა მხატვარმა კაფეს ერთ-ერთ კედელზე კანაფის ორმეტრიანი ფოთოლი დახატა. ასევე მსგავსი სურათები ამშვენებს კაფეს თანამშრომლების ფორმას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლონდონში შიშველი ტრამპის ნახატს გამოფენენ

ლონდონის გალერეა მედოქსში გამოფენენ გაშიშვლებული ამერიკელი მილიარდერის დონალდ ტრამპის პორტრეტს, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატია.

მხატვარმა ილმა გორმა, რომელმაც ივარაუდა, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ტრამპი უტანსაცმლოდ, ნახატს დაარქვა „ამერიკა



ისევ დიდ ქვეყნად ვაქციოთ“. შეგახსენებთ, რომ სწორედ ასეთი ლოზუნგით იყრის კენჭს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი, მილიარდერი. მხატვარმა პორტრეტის ფოტოსურათი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. სოციალური ქსელის ადმინისტრაციამ გამოსახულება მას შემდეგ დაბლოკა, როდესაც მას უკვე რამდენიმე საათში 260 ათასზე მეტი ნახვა ჰქონდა მოგროვებული.

მხატვარი გოგონას თქმით, ამერიკის საზოგადოების უარყოფითი რეაქციისა და ათასობით მუქარის გამო, რომელიც მან ბიზნესმენის მომხრეების მხრიდან მიიღო, გადაწყვიტა, პორტრეტი აშშ-ს არტ-მოედნებზე არ გამოეფინა.

– ლონდონი ყოველთვის გამოირჩევა აზროვნების თავისუფლებით, როდესაც საქმე ხელოვნებას ეხება, და არ აშინებს არაერთმნიშვნელოვანი ნაწარმოების წარმოდგენა, რომელიც დიდ კამათს იწვევს, – განაცხადა ილმა გორმა.

## ნორვეგიელ ფემინისტს სომალელი გამაუპატიურებელი შეეცოდა




ნორვეგიელმა პოლიტიკოსმა სატელევიზიო შოუს მსვლელობისას, რომელიც ფსიქოლოგიურ პრობლემებს შეეხებოდა, აღიარა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობს იმის გამო, რომ აფრიკელი, რომელმაც ის გააუპატიურა, ქვეყნიდან იქნება დეპორტირებული.

კარსტენ ნორდალ ჰაუკენი, რომელიც აკერსჰუსის გუბერნიის ოსის კომუნიდანაა, საკუთარ ბინაში იქნა გაუპატიურებული. დამნაშავე დაკავეს და 4,5 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ის აღმოჩნდა სომალელი, რომელსაც ნორვეგიაში თავშესაფრის მიღება სურდა.

როდესაც პოლიტიკოსმა გაიგო, რომ მამაკაცს სასჯელის მოხდის შემდეგ უკან სომალიში დეპორტაცია ელოდებოდა, მისივე აღიარებით თავი დამნაშავედ იგრძნო იმის გამო, რომ შესაძლოა მამაკაცს საკუთარ ქვეყანაში პრობლემები შეექმნას.

პოლიტიკოსის თქმით, ის ძნელად შეეგუა იმას, რომ მომავალი ჰეტეროსექსუალი მამაკაცი, ჰომოსექსუალური გაუპატიურების მსხვერპლი გახდა. ამის გამო, ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ალკოჰოლს მიეძალა და მარიხუანასაც კი ეწეოდა.

## ტაილანდში მთვრალ მძღოლებს პროზექტურაში მიიყვანენ



ტაილანდის ხელისუფლება ფიქრობს, რომ მძღოლები, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში მართავდნენ მანქანას, სამუშაოდ პროზექტურაში მიიყვანონ. ეს იქნება სასჯელის ნაწილი, რომელიც ალკოჰოლის მოყვარულ მძღოლებს განესაზღვრებათ, სავალდებულო საზოგადოებრივი სამუშაოს სახით.

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთმა მძღოლებმა შეიგნონ, თუ როგორი შედეგი შეიძლება გამოიღოს ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვამ.

დღეისთვის ტაილანდში წესების დამრღვევ მძღოლებს აიძულებენ, მაგალითად, ხეები მოჭრან ან ქუჩები დაალაგონ. ზოგიერთს საავადმყოფოში აგზავნიან ავტოსაგზაო შემთხვევაში დაშავებულთა მოსავლელად.

ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ნასვამი მძღოლების რაოდენობა, რომლებსაც რომელიმე დღესასწაულის დღეებში აკავებენ, სულ უფრო მეტად იზრდება. ასეთი მძღოლების პროზექტურაში სამუშაოდ გაგზავნის საკითხს ხელისუფლება განიხილავს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## მურთაზ გულორდავას!

ჩემო დისშვილო, გილოცავ დაბადების დღეს!
დღეს, როდესაც პირველად იხილე დღის სინათლე,
მართალია შენი ცხოვრების განვლილი გზა ყოველთვის არ იყო ია და ვარდით მოფენილი, მაგრამ დღეს მეამაყება, რომ შენი შვილებით, შვილიშვილებით კარგად მიყვები ფერდობიდან მთის მწვერვალისკენ მიმავალ გზას, სადაც მრავალი ადგილია, მაგრამ ყველა ვერ აღწევს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ყველგან და ყოველთვის წარმატებებს.

შენი ბიძია პარმენ ლემონჯავა მთელი ოჯახით
შენი ბიძაშვილი ლევან ლემონჯავა ოჯახით



## ასტროპროგნოზი
### 12 აპრილისთვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **კურო** – შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ზედმეტი თავდაჯერებულობა საზიანოა. **ტყუპები** – სავარაუდოდ, ფინანსების დანაკარგია მოსალოდნელი. არავის ენდოთ, დიდია მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – ჩანაფიქრი იოლად გისრულდებათ, თუმცა, ამავე დროს, შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. **ლომი** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **ქალწული** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გააუმჯობესებს. საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **სასწორი** – ბიზნესპარტნიორები ხაფანგს გიგებენ. არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სიზარმაცემ შემოგიტიათ? შეუტიეთ თქვენც. თუ ასე არ მოიქცევით, ნებისმიერი წვრილმანი ცვლილებაც კი საზიანო იქნება. **მშვილდოსანი** – თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **თხის რქა** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **მერწყული** – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. გელით კარიერული წინსვლა. **თევზები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მოსალოდნელია დიდი წარმატება ხელოვნების სფეროში, ასევე კარგი პერიოდია შვებულებაში გასასვლელად ან, უბრალოდ, ბუნების წიაღში დასასვენებლად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შებოლილი ძეხვი; 2. კუთხე საქართველოში; 3. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 5. საკრედიტო დაწესებულება; 7. მგალობელი ფრინველი; 9. ფიფას პრეზიდენტი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 15. პოპულარული ტელეკომპანია; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 4. ისტორიული ქალაქი მესოპოტამიაში; 6. უბანი ქუთაისში; 8. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 10. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 11. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 12. საგარანტიო წერილი, რომელიც თან ახლავს ფინანსურ ხელშეკრულებას; 14. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 17. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ზონა; 19. სატანვარჯიშო სპორტული იარაღი; 20. მძლავრი, შეიარაღების მქონე დიდი, სწრაფმავალი სამხედრო გემი; 21. ძვირფასი მეტალი; 22. სპარსელ დამპყრობთა სახელწოდება საქართველოში; 23. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. სანორჩი; 2. დირე; 3. ჩურჩხელა; 4. დრო; 5. კუ; 6. პლატონი; 7. მატჩი; 8. ეი; 9. ბადრო; 10. რიელი; 11. პან; 12. ანთროპოლოგია; 13. პაი; 14. იროკეზი; 15. მარაო; 16. პა; 17. რუ; 18. კომეტა; 19. გორან; 20. ონი; 21. ოზმა; 22. გმირი; 23. ბრომი; 24. მორალი; 25. მი; 26. კიოსკი; 27. კი; 28. ის; 29. ანატოლია; 30. დიორი; 31. მუსოლინი; 32. ბირდაბირი; 33. პოლიტიკა.

**სურათებზე:** ან პარიიო; ჟუნინიო პერნამბუკანო.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კომედია; 3. ნიკელი; 8. ლექცია; 10. მაქმანი; 11. ნისლა; 12. ჭიპილია; 14. სტატია; 15. სკიპტრა; 16. რვალი; 19. კალამი; 20. მილიონი; 21. ლაფანი.

**შვეულად:** 1. კომპიუტერი; 2. იარაღი; 3. ნავარდი; 4. ლანდი; 5. ლეგალური; 6. უცუნა; 7. ჩახმახი; 9. მელოტი; 13. ატოლი; 17. არია; 18. ბოი.

# ზურაბ შარიამ დეპუტატობა გადაწყვიტა



რუსთაველის თეატრის მსახიობმა ზურაბ შარიამ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და 8 ოქტომბრის არჩევნებში ვაკეში მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს.

**ზურაბ შარია:**

– საღად მოაზროვნე, ჯანსაღი აზრისა და ჩვენი ქვეყნის სიყვარულით განმსჭვალული, პატრიოტი ადამიანების გასაგონად ვამბობ: გადაწყვეტილება მიღებულია, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატად ვიყრი კენჭს!!! მხოლოდ თქვენი, საღად მოაზროვნე, ნიჭიერი ადამიანების იმედი მაქვს!!! პროგრამას მოგვიანებით გაგაცნობთ. მერწმუნეთ, ყველა თქვენგანის აზრის გათვალისწინებითა და ზუსტად ყველა თქვენთაგანის საკეთილდღეოდ ვიღწვი!!! ჩვენ ქვეყანას ჩვენვე უნდა მივცეთ განვითარებისა და წინსვლის საშუალება! წინასწარ ულრმესი მადლობა თითოეულ თქვენთაგანს ნდობისა და მხარდაჭერისათვის. ჩვენ გავიმარჯვებთ!!!

შეეწირება თუ არა ზურაბ შარიას სამსახიობო კარიერა დეპუტატის მანდატს, ამ ეტაპზე უცნობია.

# ბაჩი ქიტიაშვილი გარდაიცვალა




ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქართული როკ მუსიკის ლეგენდა, ანსამბლ „ბერმუხას" დამაარსებელი და როკენციკლოპედიის შემქმნელი ბაჩი ქიტიაშვილი გარდაიცვალა.

მას ფილტვის სიმსივნის მეოთხე სტადია ჰქონდა და საპატრიარქოს კლინიკის თერაპიულ განყოფილებაში მკურნალობდა.

სამწუხარო ინფორმაცია პოეტმა დავით დეფიმ გაავრცელა:

– დიდი ზეიმი ზეცაში გრძელდება, ამჯერად ბაჩი ქიტიაშვილი ეწვია მიღმა სამყაროს. ვიცით, როკ'ენ'როლისთვის დრო არც არსებობს, მაგრამ ჩვენი 2016 წელი მართლაც საგანგებო წელია იმ დიდი ზეიმისთვის ახლა და ამ წამს ზეცაში რომ მიმდინარეობს.

გული დამწყდა ბაჩიზე. ბერმუხაზე. ლეგენდაზე, პიონერზე და გნებავთ, ქართული როკის პატრიარქზე, როგორც თავს უწოდებდა. მე, მისი კონცერტიც კი წამიყვანია ფილარმონიაში და ახლა იმ დღის გახსენებისას უცნაურად მეღიმება. რაღაც უჩვეულო დამთავრდა ჩვენს ქვეყანაში და მასთან ერთად, ყოველთვის ხელიდან გამსხლტარი დროც სადღაც მიილია. და ფარდაც დაეშვა. აქ მისთვის ვარსკვლავი არავის გაუხსნია. აქ მას არც კი აქცევდნენ ყურადღებას. ის კი არ ნებდებოდა. არასდროს ნებდებოდა. დიდება მის ხსოვნას. ბერმუხას დიდება.

ინათე ბაჩი, შენს და ჩვენს მეგობრებთან, ძმებთან თუ გიჟებთან და გენიოსებთან ერთად იმ დიდ ზეიმზე, იქ სადღაც საუკეთესო ადგილებში, ამ უიმედოდ გამოფიტული სამყაროდან უკვე ძალიან, ძალიან შორს.

ბაჩი ქიტიაშვილის ავადმყოფობის და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ინფორმაცია რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. მაშინ ქართველმა მომღერლებმა მისთვის საქველმოქმედო კონცერტის ჩატარება გადაწყვიტეს, მაგრამ მუსიკოსის შვილის თხოვნით, ყველა დაგეგმილი კონცერტი გაუქმდა.

– მე და რამდენიმე მუსიკოსი ვაპირებდით ბაჩის დასახმარებელ საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას. შემდეგ მქონდა მიმოწერა ბაჩის შვილთან, რომელმაც მოითხოვა ამ საქველმოქმედო კონცერტის გაუქმება. ძალიან ბევრს უნდოდა ბაჩის დახმარება, მაგრამ ყველას მოგვიწია ბაჩის შვილის მოთხოვნის გათვალისწინება, – განაცხადა მომღერალმა მაია დარსმელიძემ.

ბაჩი ქიტიაშვილის მიერ დაარსებული ანსამბლი „ბურმუხა" აღმოჩნდა პირველი, ვინც საბჭოთა კავშირის ჩაკეტილ სივრცეში გაბედა და საქართველოში როკ-მუსიკა ააჟღერა, ამის გამო, მუსიკოსს ავიწროებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, ამცირებდნენ, დევნიდნენ, პრობლემებს უქმნიდნენ, მაგრამ მან ყველაფერს ღირსეულად გაუძლო და არაფრის ფასად არ თქვა უარი თავის საყვარელ საქმეზე.

– მიხარია, რომ შევქმენი ქართული როკენციკლოპედია, გავაკეთე არნახული ჩანაწერები ქართული როკის თაობაზე. შევქმენი ის, რაც უნდა შემექმნა, – ასე აფასებდა ბაჩი ქიტიაშვილი მის მიერ განვლილ გზას.

# ნინო სურგულაძე საუკეთესო სოპრანოდ დაასახელეს



პრესტიჟულმა იტალიურმა გამოცემამ ნინო სურგულაძე საუკეთესო მეცოსოპრანოდ დაასახელა. ნინომ მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, რომელიც არენა დი ვერონაზე გამართულ 90-ე საოპერო ხელოვნების ფესტივალში მონაწილე მომღერლებს შორის საუკეთესოსო გამოსავლენად ჩატარდა.

ნომინაციაში საუკეთესო მეცოსოპრანო ნინო სურგულაძესთან ერთად ანიტა რაჭველიშვილიც მონაწილეობდა. ნინო სურგულაძე ამ ნომინაციაში მოხვდა „ნაბუქოს" ოპერაში მონაწილეობისთვის, ანიტა კი „აიდაში" მონაწილეობისთვის.

ნინომ გამარჯვება შეძლო და თავის პრემიებსა და ჯილდოებს კიდევ ერთი გამარჯვება შემატა, რომელიც საოპერო ხელოვნებაში ოსკარის სახელწოდებით არის ცნობილი.

გამოკითხვაში საუკეთესოს გამოვლენა და ხმის მიცემა 10 აპრილის ჩათვლით იყო შესაძლებელი. გამოკითხვის შედეგად გამარჯვებული ნომინაციაში საუკეთესო მეცოსოპრანო ხმათა უმრავლესობით სწორედ ნინო სურგულაძე გახდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ზაზა შენგელია კულტურის სამინისტროს უვიცობას აპროტესტებს



კომპანია „ბრავო რექორდსის" ხელმძღვანელი ზაზა შენგელია კულტურის სამინისტროს უვიცობას და სითავხედეს ღიად უპირისპირდება და აცხადებს, რომ უკიდეგანო „ბეზპრედელი" უნდა დასრულდეს.

ზაზა შენგელია:

– საოცარი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა მეც იმ უკიდეგანო „ბესპრედელის, უვიცობის და თავხედობის გამო, რომელიც დღეს კულტურის სამინისტროდან მოდის... დროა, ყველაფერს საკუთარი სახელი დაერქვას...

სერიოზულ ინტერესთა კონფლიქტში არიან „წყალბურთელი ბიჭები",'რომლებიც ტყემლის ხეზე სხედან და ბლის კურკებს ისვრიან... და თან არ მინდა „ბრავო რექორდსის" და სხვა კომპანიების პროექტებს იხილავდეს ტიპი, რომელსაც მეორე კლასში, ტურგენევის „მუმუ"-ს მერე წიგნი არა აქვს წაკითხული და მისი უწიგნურობის ამბავი მთელ ქალაქში ანეკდოტად დადის... სირცხვილია!

სპორტი

# პსჟ და რეალი რთული ამოცანის წინაშე დგანან

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის ორი განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა.

**სიტი – პსჟ**

**2.7 3.3 2.6**

(პირველი მატჩი 2:2)

სტუმრად მოპოვებული შედეგიანი ფრე საპასუხო მატჩის წინ უპირატესობას მანჩესტერელებს აძლევს, პსჟ კი რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ პარიზელები 2 წამყვან ფეხბურთელს დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისებს – დავიდ ლუიზსა და ბლეზ მატუიდს ყვითელი ბარათების გადაჭარბება აქვთ. მათ გარდა არ იქნება მარკო ვერატიც, რომელსაც ისევ ტრავმა აწუხებს.

თავის მხრივ პარიზელებს ვინსენტ კომპანი და ფერნანდო ვერ დაეხმარება.

**მსაჯები ესპანელები არიან:** კარლოს ველასკო კარბალიო (მთავარი); რობერტო ალონსო, ხუან იუსტე (ასისტენტები); ხესუს ხილ მანსანო, კალოს დელ სერო (დამატებითი ასისტენტები); რაულ კაბანერო (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**სიტი:** ჰარტი, სანია, ოტამენდი, დემიკელისი, კლიში, ტურე, ფერნანდინიო, დე ბრუინი, სტირლინგი, სილვა, აგუერო

**პსჟ:** ტრაპი, ვან დერ ვილი, სილვა, ორიე, მაქსველი, მოტა, რაბიო, ლუკასი, დი მარია, იბრაჰიმოვიჩი, კავანი

**რეალი – ვოლფსბურგი**

**1.22 6.0 13.0**

(პირველი მატჩი 0:2)

რთულ მდგომარეობაში ჩავარდა მადრიდული გუნდი – ზინედინ ზიდანის შეგირდებს 2-ბურთიანი ჰანდიკაპი აქვთ დასაძლევი. მადრიდელებისთვის ეს ამოცანა გადაუჭრელს სულაც არ ჰგავს, მაგრამ მისი რეალიზებაა საჭირო.




ვოლფსბურგმა კი უკვე თავისი საქმე გააკეთა და გმირულადაც – მადრიდელების დამარცხება ყველა გუნდს არ შეუძლია.

მასპინძლებს ტრავმირებული რაფაელ ვარანი დააკლდება, ამავე მიზეზით მატჩს ვოლფსბურგელი სებასტიან იუნგიც გამოტოვებს.

**მატჩს უნგრელი მსაჯები მოემსახურებიან:** ვიქტორ კოშოი (მთავარი); გორგი რინგი, ვენცელ ტოტი (ასისტენტები); ტომაშ ბოგნარი, ადამ ფორკოში (დამატებითი ასისტენტები); იშტვან ოლბერტი (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**რეალი:** ნავასი, მარსელო, პეპე, რამოსი, არბელოა, კროოსი, მოდრიჩი, კაზემირო, ბეილი, რონალდუ, ბენზემა

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, დანტე, როდრიგესი, ნალდო, შეფერი, გილიავოგი, არნოლდი, დრექსლერი, შურლე, კრუზე, დოსტი

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კომპანიმ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ პსჟ-სთან მაინც არ ითამაშებს



მანჩესტერ სიტის ბელგიელი ცენტრალურმა მცველმა ვინსან კომპანიმ თავის გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო, მაგრამ პსჟ-სთან მისი თამაში მაინც გამორიცხულია, რადგან კომპანის ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია.

კომპანიმ ბოლო მატჩი კიევის დინამოს წინააღმდეგ ჩაატარა, სადაც ძველი ტრავმა გაიმიზეზა და მას შემდეგ ის მოედანზე არ გამოსულა. მისი არყოფნა სიტის ძალიან დაეტყო და გუნდმა ბოლო თვეებში აშკარად მოუკლო, თუმცა პსჟ-სთან პირველი შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, რაც ინგლისურ კლუბს განმეორებითი მატჩის წინ კარგ შანსებს უტოვებს.

შეხვედრა 12 აპრილს, თბილისის დროით 22.45 წუთზე დაიწყება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

მეგობრები ნემო ბურჭულაძე, ირაკლი შენგელაია, გურამ ოდიშარია, ირაკლი ტყეშელაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე

**გიორგი (გივი) ყორღანაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**სამშაბათი 12 აპრილი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ცხოვრება ციფრებში" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 1"4 ფინალური მატჩი: **00.40** მხ/ფ "**ედი ტელევიზორიდან**" (მ.მაკონახი) **02.40** მხ/ფ "**ბნელეთის ადამიანი**" (ლ.ნისონი)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "ევროპის შუაგულში" **13.00** დოკ/ფ "ზეთი სიამაყე" **14.00** დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **16.00** დოკ/ფ "კიდევ სცადე" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **22.40** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" მეოთხედ ფინალი: **00.40** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **7** სერ. **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **00.00** მხ/ფ. "**შეცვლილი გზები**" **02.20** მხ/ფ. "**დღის ცივი შუქი**" **04.30** ქ.მხ/ფ. "**ფარაჯანოვი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **10.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **15.30** Discovery- ლომებთან ცხოვრება **16.30** აირჩიე კაბა - მეჯვარეები **17.00** რემონტი **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30 22.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **23.30** მხ/ფ "**ორდენი**" **1.20** ID **Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **2.20**, URBAN STORIES **3.15** ჯიდიპედია

**06.10** სპექტაკლი "**ბედი ქართლისა**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** პლანეტა დედამიწა "მთები" **11.10** თაობა ზეტი **11.30** წმ. ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** დ/ფ "გადადექი ფაშა!" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ველური ბუნება "ჰიპოპოტამების ტრაგედია" **16.00** დ/ფ "13 ასურელი მამა" **16.30** სათავეებთან "ქართული ასომთავრული" **17.15** სიბრძნისმეტ.ველება **17.25** კვირიაკეს კალენდარი "მუხრან მაჭავარიანი, ზურაბ ანჯაფარიძე" **17.45** აქტუალური თემა "პატრიოტიზმი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სჯანი **19.50** ღია აუდიტორია **20.30** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა "იესო ქარიშხარს აცხრობს" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**12 აპრილისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2868

ევრო — 2.6005

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2159

100 რუსული რუბლი — 3.4001

## ამინდის პროგნოზი 12 აპრილისთვის




# 12 აპრილიდან




## კანდიდ ჩარკვიანი
## სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

კანდიდ ჩარკვიანი 14 წლის განმავლობაში, 1938-დან 1952 წლამდე, ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რეგულარულად ხვდებოდა სტალინს.

ამ წიგნში თავმოყრილია ფრაგმენტები კანდიდ ჩარკვიანის მემუარებიდან, რომლებიც ყველაზე სრულად ახასიათებენ სტალინის რთულ და წინააღმდეგობრივ პიროვნებას.

გარეკანზე გამოყენებულია ცნობილი ქართველი მხატვრის – უჩა ჯაფარიძის მიერ პასტელით შესრულებული სტალინის პორტრეტი, რომელიც მან კანდიდ ჩარკვიანს 1947 წელს აჩუქა.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**










## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ
## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის
### შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**










## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ
## 8 აპრილიდან
### იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

წიგნი შედგენილია **არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის** მიხედვით

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**




## იბრაჰიმოვიჩს მანჩესტერ იუნაიტედში თამაში სურს



ზლატან იბრაჰიმოვიჩს წლევანდელი სეზონის ბოლოს პსჟ-სთან კონტრაქტი უმთავრდება და შვედი ფეხბურთელი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. გავრცელდა ჭორები იმის შესახებაც, თითქოს ზლატანი კარიერის დასრულებას აპირებს, მაგრამ იბრამ ეს ჭორები უარყო.

არ არის გამორიცხული იბრაჰიმოვიჩი მომავალ წელს, რომელიმე ინგლისურ კლუბში ვიხილოთ, კერძოდ კი მანჩესტერ იუნაიტედში.

როგორც ინგლისური პრესა წერს, ზლატანი თანახმაა ამ გუნდში თამაშზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ლუი ვან გაალი მანჩესტერს დატოვებს.

ვან გაალთან ურთიერთობა იბრაჰიმოვიჩს ჯერ კიდევ მაშინ გაუფუჭდა, როდესაც აიაქსში თამაშობდა.

## ჟერარ პიკემ შეიძლება ატლეტიკოსთან შეხვედრა გამოტოვოს



ბარსელონას ამჟამად რთული პერიოდი აქვს. კატალონიურმა გუნდმა ზედიზედ ორი თამაში წააგო და ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბოლო ტურებში ბრძოლა მოუწევს. გარდა ამისა, ბარსელონას ოთხშაბათს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის სტუმრად მადრიდის ატლეტიკოსთან, სადაც გადაწყდება, თუ რომელი გუნდი გავა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში.

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ შესაძლოა ეს შეხვედრა გამოტოვოს, რადგან მან მცირე ტრავმა მიიღო.

ჯერჯერობით არ არის ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ ითამაშებს თუ არა პიკე ატლეტიკოს წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტია, რომ ბარსელონას ბევრი პრობლემა დაუგროვდა, ხოლო წინ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ნახე, თანდილამ ისეთი საფრთხობელა დადგა, რომ ჩიტებმა შარშან წაღებული მოსავალიც კი უკან მოუტანეს.

●●●

ექიმების შესაძლებლობები:

თერაპევტები – ყველაფერი იციან, მაგრამ არაფერი ეხერხებათ.

ქირურგები – ყველაფერი ეხერხებათ, მაგრამ არაფერი იციან.

პათოლოგანატომები – ყველაფერი იციან, ყველაფერი ეხერხებათ, მაგრამ უკვე გვიანია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, მონღოლებს ასეთი წესი ჰქონიათ: როდესაც ოჯახში ბიჭი დაიბადება, მამა ხეს რგავს, მაგრამ, თუ შვილი სულელად გაიზრდება, ხეს ჭრიან.

– მონღოლეთში ნამყოფი ვარ და იქ უკიდეგანო ველების გარდა ვერაფერი ვნახე.

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედა, მთელი ღამე მამას მუცელზე რატომ ხტუნაობდი?

– ეეე... იმიტომ, შვილო, რომ მინდა, მამიკო გავახდუნო.

– არ გამოვა.

– რატომ?

– შენ სამსახურში რომ მიდიხარ, დეიდა მაყვალა მოდის და ბერავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## შეყვარებული კალიფორნიელი შვეულმფრენის დახმარებით გადაარჩინეს

ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრები მამაკაცი, რომელიც კლდეზე იმისთვის აცოცდა, რომ თავისი შეყვარებული გოგონასთვის ხელი ეთხოვა, კლდიდან შვეულმფრენის დახმარებით ჩამოხსნეს.



27 წლის მაიკლ პოლ ბენკსი 180 მეტრიან კლდე მოროზე აცოცდა, რათა იქიდან თავის შეყვარებულს ვიდეოზარის დახმარებით დაკავშირებოდა. მას შემდეგ, რაც გოგონამ შეყვარებულს ცოლად გაყოლაზე თანხმობა განუცხადა, მამაკაცმა კლდიდან ჩამოსვლა სცადა, მაგრამ ხაფანგში აღმოჩნდა.

სახანძრო სამსახურის თანამშრომლის ტოდ გეილის თქმით, როდესაც შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ბენკსი 24 მეტრიანი კლდის პირას იდგა. მეხანძრე შვეულმფრენიდან თოკით დაეშვა, კალიფორნიელი შეყვარებული თოკით ჩაიბა და სახიფათო ადგილიდან გამოიყვანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. რაიმეს მწვავე ნაკლებობა; 3. მოხეტიალე ცირკი; 4. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 5. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 8. პოლონელი კომპოზიტორი, ეროვნული საოპერო სკოლის ფუძემდებელი; 12. ძვირფას მერქნიანი ფოთლოვანი ხე; 13. რაიმე სიდიდეების გრაფიკულად გამოსახული თანაფარდობა; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. კინოკომედია „ლონდრე“-ს კინორეჟისორი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 20. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე.

**თარაზულად:** 6. ესტრადის მომღერლის სახელწოდება საფრანგეთში; 7. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 8. ნახატი, სურათი ზღვის ხედით; 9. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 10. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 11. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 15. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 17. მინერალური წყალი იმერეთში; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 22. ძველებური ინდური მაგიდის სათამაშო, ჭადრაკის წინამორბედი; 23. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

